ქართველობის გადასარჩენად

ილორი

№ 39 (107) 3 ნოემბერი 2009 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

მრუდე სარკეების სამეფო, ანუ აქუ, ბაბუ და სხვები... 2

თურქეთის პირისპირ ევროპის იმედით 7

ლავრენტი ბერია — ქართული გენია 4

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიოს ლეგენდარული მატჩები"

ტრიუმფი გლასგოში 12

5 "კოლხები – ქართველების წინაპრები"

ანზორ შონია

მიხეილ ნიკოლოზის ძიდან მიხეილ ნიკოლოზის ძემდე 3

გივი ელიავა — არქეოლოგი, მხარის არქეოლოგიური მასალების მკვლევარი 6

განცხადება

2009 წლის 10 ნოემბერს, სამშაბათს, 14 საათზე, **"კინოს სახლში"**, ხოლო 2009 წლის 12 ნოემბერს, ხუთშაბათს, 15 საათზე, სამების წმინდა ტაძრის ახალგაზრდობის ინტელექტუალური აღზრდის დარბაზში გაიმართება პროფესორ ბატონ გია კვაშილავას მოხსენებები თემაზე: **"ფესტოსის დისკო – კოლხური ოქროდამწერლობა"**.

გთხოვთ მობრძანდეთ.



9

გლობალიზაცია – XX საუკუნის უდიდესი აფეთქება

8

მრუდე სარკეების სამეფო, ანუ აქუ, ბაბუ და სხვები...

ბავშვობაში ვის არ ჰყვარებია სიცილის ოთახის სტუმრობა?! გახსოვთ, რამდენს ვიცინოდით საკუთარ თავზე – საკუთარ ანარეკლზე მრუდე სარკეში?

დღეს კი პოლიტიკურმა ელიტამ და ჩვენმა მასმედიამ იმ ზომამდე დააზომბირეს ქართველი საზოგადოება, რომ ადამიანები აღარ ენდობიან საღ გონებას და მომხდარს მხოლოდ იმ მრუდე სარკეებში აღიქვამენ, რომლებიც ხელისუფლებამ ყოველი მხრიდან აღუმართა: დამახინჯებული ანარეკლის სინამდვილედ მიჩნევისას ჩვენ საკუთარ თავზე კი აღარ ვიცინით, არამედ ვბრაზდებით – კი, მაგრამ, ვინ დაგვამახინჯა ასე?!

მათ! – გვპასუხობს **მრუდე სარკეების სამეფოს ხელმწიფე** და სიტუაციის მიხედვით მიგვითითებს ხან **ჩრდილოეთისკენ**, ხან – **კრწანისისკენ**: **არ გინდივართ?! მაშინ მათთან, გონჯებთან დარჩებით!** – ჭკუას გვასწავლის **ხელმწიფე** და უნდა ითქვას, რომ ეს პიარტექნოლოგია ამართლებს...

ამიტომაც არ დაშალა საქართველოს მეფე მიხეილ სააკაშვილმა ბოლო მრავალათასიანი მიტინგები... და ის თავისთავად „გაიწოვა“! ხოლო ოპოზიციის შერცხვენილმა ლიდერებმა ტახტის ნაცვლად მხოლოდ ყოვლისშემძლე შს მინისტრის **ვანო მერაბიშვილის** მობილური ტელეფონის ნომერი მოიხელთეს – ტახტის მთავარი საყრდენის, რომელთანაც გუშინდელი წყენის გაუხსენებლად დღეს პაემანზე მოჩქარე მიჯნურის გულისფანცქალით დარბიან...

ამიტომ ხელმწიფე სააკაშვილი აინუნშიც არ აგდებს „თითქმის საქართველოს პრეზიდენტის“ – პეტერბურგული მაფიის მეფის ებრალიძისა და მისი მეგობრის – „საქართველოს ხალხების ასამბლეის“ პრეზიდენტის, პოლიციის გენერლის ძასოხოვის ოინებს, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას (ძირითადად, არაქართული ეროვნების) თანამშრომლობაზე აგულიანებენ: უგზავნიან ერთგვერდიან „მემორანდუმს,“ სადაც სიტყვა „თანამშრომლობა“ 5-ჯერ მოიხსენიება (იხ. ქვემოთ)! **მინდა, გავაფრთხილო ისინი, ვინც ეს „მემორანდუმი“ მიიღო და ხელი მოაწერა: საქართველოს პარლამენტი იწყებს „ლუსტრაციის შესახებ“ კანონის განხილვას, რომლის თანახმადაც, ეს შეიძლება კვალიფიცირებული იყოს როგორც გადაბირება, ხოლო ინფორმაციის მიმწოდებელი ადამიანები – კონფიდენტებთან გათანაბრებული, ანუ** (კანონპროექტის 1.4.6. პუნქტების ციტირებას ვახდენ) ***„პირებთან, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობენ სპეცორგანოებთან და აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა პირსა და მოვლენაზე“.***

ამიტომაც არ უშლიდა ხელს ხელმწიფე მიხეილი „რელიგიამცოდნე“ შევჩენკოს (საჯაროდ რომ უწოდა ებრალიძეს პუტინის მეგობარი!), თავისი მეგობრებისგან შეექმნა ქართულ-რუსული „სმეშანნაია“ კომისია” ჰუმანიტარული მიზნით – დაებრუნებინა ლტოლვილები მათ მიწაზე და მოეძებნა 08.08.08 ომის შედეგად უგზოუკვლოდ დაკარგულები (?!). **მკვდრადშობილმა კომისიამ თავად შესვა საკუთარი „სულის მოსახსენიებელი“** (ეტყობა, დასახული ამოცანები შესრულებულად მიიჩნია ან ზოგიერთი **„ობშჩესტვენიკი“** დააფრთხო **„ლუსტრაციის კანონმა“**...). **ახლა ისინი თავს „ფორუმს“ უწოდებენ და ერთმანეთს სტუმრობენ უფრო გლობალური მიზნებით – დაარეგულირონ კონფლიქტები კავკასიაში (?!) და დაახლოონ რუსი და ქართველი საზოგადოებრიობა** (როგორდაც ხომ უნდა ჩააბარონ ანგარიში გამოყოფილ თანხებზე?!). **თუმცა, თუ ქართველ და რუს საზოგადოებრიობად მხოლოდ ერთ დუჟინ ამ „ობჩესტვენიკებს“ მივიჩნევთ, მაშინ „დაახლოება“ მათ უკვე გამოუვიდათ...**

ამიტომაც საქართველოს ტელევიზიაში შეუფერხებლად ფუნქციონირებს ტელეარხი „კავკასია“, რომელსაც ზოგიერთები – **ოპოზიციურად**, ბევრი კი **შსს არხად** მიიჩნევს და არცთუ უსაფუძვლოდ: **მისი მფლობელი** და ***„სტუდია სპექტრის“*** **წამყვანი აქუბარდია უკვე არა ერთი წელია, დაუსჯელად ქილიკობს ზემოხსენებულ შს მინისტრ ვანო მერაბიშვილზე, ხან „ვანიჩკას“ უწოდებს, ხანაც აბუჩად იგდებს ძალოვანებს და მათ „ვანიჩკას ბიჭებს“ ეძახის და ამისათვის რატომღაც პასუხს არავინ სთხოვს...**

პრეზიდენტ სააკაშვილის კრიტიკით კი „კავკასია“ მას სამ დიდ სამსახურს უწევს:

პირველი: ამორჩევით უთმობს ტელეეთერს ერთსა და იმავე **„მეამბოხეებს“** და ოპოზიციონერებს, **რითაც ახდენს ამჟამინდელი ხელისუფლებით ყველა უკმაყოფილო ადამიანის ლუსტრირებას და აუწყებს ხელისუფლებას მათ შემდგომ განზრახვას**: ხელისუფლებამ მუდამ წინდაწინ იცის, რას უნდა ელოდეს მათგან არსებულ ვითარებაში;

მეორე: ასრულებს დამცველი სარქველის როლს ორთქლის ქვაბისთვის, სადაც უწყინარი სტვენა-გრგვინვით უჩინარდება კრიტიკულ ნიშნულამდე მისული სახალხო უკმაყოფილების **„ჭარბი ორთქლი“ – ქმნის საზოგადოებრივ აზრს, რომ საქართველოში არსებობს უბრალო ხალხის ინტერესების სადარაჯოზე მდგარი ეროვნულ-ორიენტირებული ძალები და მათ აქვთ თავისუფალი ტრიბუნა „კავკასიის“ სახით;**

მესამე – თავად არსებობის ფაქტით ევროპისა და აშშ-ის საერთაშორისო დემოკრატიულ ინსტიტუტებს **უქმნის საქართველოს ტელევიზიაში საჯაროობისა და საქართველოში დემოკრატიის არსებობის ილუზიას.**

ამიტომ მრუდე სარკეების სამეფოს ხელმწიფემ წარმოუდგენლად გაიხარა, როცა ახლახან აქუმ პირდაპირ ეთერში მიიწვია ბაბუ! შემოთავაზებული სანახაობა მხოლოდ **მრუდე სარკეში** შეიძლება მოგელანდოს: **აქუ** (რომლის ლექსიკონი **„13 სკამის“** პერსონაჟ ელოჩკა-კაციჭამიის სიტყვიერ მარაგზე მდიდარი როდია) **ბაბუს „ერის მამას“ უწოდებდა და სთხოვდა, „საქართველო გადაერჩინა – დაერეკა გორბაჩოვისთვის, ჩასულიყო მოსკოვში, სწვეოდა პუტინს და ეთქვა, რომ საქართველო უკვე ეთანხმება გორბაჩოვის გენიალურ იდეას – აღიაროს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი ფედერაციის სუბიექტებად საქართველოს შემადგენლობაში“** (?!). **ბაბუმ კი პასუხად შესთავაზა აქუს, ამაზე ერთად ეფიქრათ...**

მოკლედ, **„კავკასიასთან“** დაკავშირებით, რომელმაც **ანტირუსული რიტორიკით** დიდი ხანია, ყველა **სამთავრობო ტელეარხი დაჯაბნა,** ყველაფერი ნათელია. **გასაკვირი** როდია, **რომ აქუბარდია აფხაზებსა** და **ოსებს** მიიჩნევს **ავაზაკთა, კრიმინალთა** და **იდიოტთა ჯგროდ, რომლებიც** უნდა **მოგვესყიდა** (რამდენიმე ოსი **„ЮАР“-**ში – ასე უწოდებს ის სამხრეთ ოსეთს დე ფაქტო ხელისუფლების დასამხობად) **და ბრჭყვიალა მძივებით პაპუასებივით მოგვეტყუებინა** (აფხაზები, რომელთა დროშას საქართველოს ფედერაციაში მათი შესვლის სანაცვლოდ ვადიარებდით): **მეტს რას უნდა ელოდე ადამიანისგან, რომელიც გაეროსა და დსთ-ს – კანტორას, მათ გენერალურ მდივნებს კი დირექტორებს უწოდებს?!**

შევარდნაძეც არასოდეს გამოირჩეოდა რუსებისადმი განსაკუთრებული სიყვარულით **(უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ გულის სიღრმეში მას ყოველთვის სძულდა რუსეთი!),** თუმცა სერიოზული ბეგრაუნდის მქონე ადამიანისგან, რომელიც მუდამ კითხულობს პრესას **(აქუბარდიასა და ქართული პოლიტისტებლიშმენტის უმრავლესობისგან განსხვავებით!)**, უცნაური მოსასმენი იყო, **რომ ის ისევ იმედოვნებს საქართველოს სახელით ლაპარაკს და მისი ბედ-იღბლის გადაწყვეტას;**

რომ მას დაუჯერებს პუტინი (მას შემდეგ, რაც მან და გორბაჩოვმა დაშალეს ვარშავის ხელშეკრულება და სსრკ!);

რომ საქართველოს ფედერაციული მოწყობა გორბაჩოვის იდეაა;

რომ რუსეთი სადაცაა ნაწილ-ნაწილ დაიშლება (?!);

რომ სააკაშვილმა დაუშვა შეცდომა, როცა 2008 **წლის აგვისტოში** ცხინვალში **შევიდა** და ომი **დაიწყო.**

შევარდნაძეს „რატომღაც დაავიწყდა“,

რომ თავადაც **დაუშვა შეცდომა,** როცა 1992 **წლის აგვისტოში** სოხუმში **შევიდა** და ომი **დაიწყო** და **რომ** მაშინდელი ომის **მსხვერპლი შეუდარებლად მეტი იყო;**

რომ 1993 წელს მას **შეეძლო საქართველოსთვის** თითქმის **მთელი აფხაზეთის დაბრუნება** (გრაჩოვმა გაგრაში ერთი რუსული დივიზიის შეყვანა და აფხაზებისთვის გაგრიდან ფსოუმდე ტერიტორიის დათმობა, ხოლო აფხაზეთის დანარჩენი ტერიტორიის ჩვენთვის დაბრუნება შესთავაზა!), **მაგრამ მან ეს არ გააკეთა;**

რომ 1995 წელს მას **შეეძლო საქართველოსთვის სამხრეთ ოსეთის დაბრუნება და მისთვის ჩრდილოეთ ოსეთის მიერთება** (მაშინ მასთან ჩრდილოეთ ოსეთის იმჟამინდელი პრეზიდენტის გალაზოვის მიერ გამოგზავნილი უფლებამოსილი პირების ჯგუფი ჩამოვიდა წინადადებით – რუსეთში არასტაბილური ვითარების გათვალისწინებით, რომელსაც მაშინ უმძიმესი ხანა ედგა, მათ შორის, ჩეჩნეთის ომის გამოც, საქართველოს შემადგენლობაში გაეერთიანებინათ ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთი!), **მაგრამ მან ეს არ გააკეთა;**

რომ 1996 წელს მას **საქართველოს გაერთიანება შეეძლო** (თუ დავიჯერებთ, რომ გორბაჩოვი მართლაც სთავაზობდა ფედერაციის იდეას, რომლის შემადგენლობაშიც შევიდოდა აფხაზეთისა და ოსეთის ავტონომია), **მაგრამ ეს არ გააკეთა;**

რომ, 2004 წლიდან მოყოლებული („ვარდების რევოლუციის“ შემდეგ), **მოსკოვმა,** ცხინვალმა **და** სოხუმმა **არა ერთხელ** გადაუკრა **სიტყვა საქართველოს რეალურ ხეირზე** მისი **ფედერალური მოწყობის** შემთხვევაში, **მაგრამ ჩვენმა ხელისუფლებამ** ეს **უგულებელყო,** ხოლო, **როცა 2008 წლის 28 თებერვალს** პრეზიდენტმა **სააკაშვილმა** თავად **განაცხადა:** ***„საქართველოსა და რუსეთს ურთიერთობა აუცილებლად ექნებათ, მაგრამ საქმე ისაა, რომ რუსეთის ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ საქართველოსთან შეიძლება საქმე ჰქონდეს როგორც ერთიან, შესაძლო ფედერალურ, ავტონომიებთან, მაგრამ ერთიან ქართულ სახელმწიფოსთან“,*** – უკვე გვიანი იყო...

რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, რომლებიც რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან და მის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად არიან აღიარებული, დღეს არავითარი მიზეზი და სურვილი არ აქვთ, იქცნენ ავტონომიებად ფედერაციული საქართველოს შემადგენლობაში. საინტერესოა, როგორ წარმოუდგენია შევარდნაძეს საქართველოს ნატოში გაწევრება ფედერაციის სუბიექტებთან – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ერთად?! (საერთოდ, იმ სადამოს **„კავკასიის“** ტელემაყურებელს შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ეს **პირდაპირი ეთერი კი არა, სულ ცოტა, 10 წლის წინანდელი ჩანაწერია!)**

რომ 2001 წლიდან ამ სტრიქონების ავტორი პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ **ალექსანდრე ჭაჭიასთან** ერთად, დაბეჯითებით ურჩევდა, საქართველო **ნეიტრალურ სახელმწიფოდ** გამოეცხადებინათ, **მაგრამ ხელისუფლება და ქართველი პროქტოპოლიტოლოგები პასუხად ილანძღებოდნენ და 2008 წლის 8 აგვისტოს** მატარებელმა **„საქართველო-ნეიტრალიტეტი“ ჩაიარა...**

რომ 2008 წლის 14 აგვისტოს, სამხედრო მოქმედებების დასრულებისთანავე და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის **აღიარებამდე, ამ სტრიქონების ავტორი, ალექსანდრე ჭაჭიასთან ერთად,** ცდილობდა ხელისუფლების დაყოლიებას: ***„დღეს უკვე უნდა ვიფიქროთ არა ნეიტრალურ სტატუსზე, არამედ საქართველოს ფედერალურ მოწყობაზე, სადაც ფედერაციის სუბიექტები*** *(ავტონომიების, შტატების, პროვინციების, რესპუბლიკების ან ფედერალური მიწების)* ***უფლებებით შევლენ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი! თუ ისევ ლანძღვას მოჰყვებით და კეთილშობილ ქალწულთა პანსიონის მკვიდრი ქალიშვილებივით განაწყენდებით – ამ შესაძლებლობასაც ხელიდან გაუშვებთ, რადგან „ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ“: ვითარება ისევ შეიძლება გაუარესდეს, იმდენად, რომ დაკარგული ტერიტორიებისთვის აღარ გვეცხელება!“*** უფრო მეტიც: **ალექსანდრე ჭაჭია ემუდარებოდა ხელისუფლებას, გონს მოსულიყო და პრეზიდენტ სააკაშვილს თავის კანდიდატურას სთავაზობდა მედიატორად, მისი აზრით, ჯერ კიდევ შესაძლებელ მოლაპარაკებებზე, რომლის ორგანიზებასაც თვითონ იტვირთებდა!**

სულ ამაოდ – ***„ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“*** ყურად არ იღეს **და 2008 წლის 26 აგვისტოს რუსეთის ფედერაციამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა...**

ახლა ერთადერთი, რასაც ლტოლვილთა დაბრუნება შეუძლია მათ საცხოვრებელ ადგილებზე, საქართველო-აფხაზეთი-სამხრეთ ოსეთის მთელ სივრცეში მოქალაქეთა თავისუფალი მიგრაციის უზრუნველყოფა, ჩვენი ეკონომიკების ინტეგრირება – სოხუმისა და ცხინვალისთვის ეკონომიკურად მიმზიდველ ქვეყნად საქართველოს გადაქცევა, ეს **რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობების ახალი მოდელია: ჩვენ უნდა დავუბრუნოთ აფხაზებსა და ოსებს მათი მშობლიური საქართველო – მაშინ ისინი დაგვიბრუნებენ ჩვენს მშობლიურ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, ხოლო ჩვენი მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტად რუსეთი უნდა იქცეს! და ეს უნდა განახორციელონ ადამიანებმა, რომლებსაც ამის მორალური უფლება აქვთ – უმწიკვლო რეპუტაციის, მაღალი ინტელექტის, პოლიტიკური ტალანტისა და რეალური შესაძლებლობების მქონეებმა! და არა სხვადასხვა ჯურის სააქციო საზოგადოების, ბანკებისა და ჰოლდინგების ხელმძღვანელებმა, რომელთა ინტელექტი საკუთარ „ხოლოდილნიკზე“ ზრუნვითაა შემოფარგლული (ანუ მერკანტილური ინტერესებით)...**

აი, რაზე უნდა ვიფიქროთ დღეს, რომ მესამედაც არ გავუშვათ შანსი, რომელიც შესაძლოა, საქართველოსთვის ბოლო აღმოჩნდეს, და არა გორბაჩოვსა და შევჩენკოსთან გამართულ „ფართიზე“ ან რუსეთის ბაზრის გახსნაზე ერთი მუჭა ბიზნესმენების გასამდიდრებლად! სავიზო რეჟიმის გაუქმებაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების აღდგენის ბუნებრივ შედეგად უნდა იქცეს, რაც შეეხება მოსკოვი-თბილისის პირდაპირი ავიარეისის გახსნას: შარშან რომ შევჩენკოს „ობშჩესტვენიკებს“ ერევნის გავლით რეისის ლობირება არ მოეხდინათ (რითაც „არმავია“ სერიოზულად გაამდიდრეს!), საქართველოსა და რუსეთს შორის (სადაც მილიონნახევარი ქართველი ცხოვრობს!) პირდაპირი ავიამიმოსვლა ალტერნატივის არარსებობის პირობებში დიდი ხანია, გადაწყვეტილი იქნებოდა!

ეს ყველაფერი გამოქვეყნდა მრავალ ადგილობრივ და უცხოურ მედიაში, **შევარდნაძეს ყველაფერი ეს წაკითხული აქვს, მაგრამ „რატომღაც დაავიწყდა“... აი, მრუდე სარკეების სამეფოს ხელმწიფეს კი არაფერი ავიწყდება – მიხეილ სააკაშვილმა იცის: სანამ ჩვენ მრუდე სარკეების გარემოცვაში ვართ, სანამ განაჩენი არ გამოუტანიათ XX საუკუნის ისეთი დამნაშავისათვის, როგორიც მიხეილ გორბაჩოვია, სადარდებელი არაფერი აქვს! და რომ უმრავლესობა მას განსჯის არა იმიტომ, რომ ომი დაიწყო, არამედ იმისთვის, რომ ეს ომი ვერ მოიგო...**

არნო ხიდირბეგიშვილი

მიხეილ ნიკოლოზის ძიდან მიხეილ ნიკოლოზის ძემდე

ბორჯომში მეოთხე სამმართველოს სანატორიუმი **„ლიკანი“** ყაზახმა ინვესტორებმა შეიძინეს. ტერიტორია ორ ნაწილად გაიყო. რომანოვების სასახლე და უნიკალური კოტეჯები წილად ხვდა სააკაშვილს და შპს-დ გარდაიქმნა, ხოლო პირველი და მესამე კორპუსები, სამკურნალო და სხვა ნაგებობები, მათ შორის, სასათბურე მეურნეობა, ყაზახების საკუთრებაში გადავიდა. მასობრივად გაათავისუფლეს სანატორიუმის ოთხასამდე თანამშრომელი, მაღალკვალიფიციური პერსონალი. სამკურნალო პროცედურები შეწყდა. დამსვენებელთა ნაკადიც გაქრა.

ოთხი წელი ბორჯომელები იმ იმედით ცხოვრობდნენ, რომ ყაზახი ინვესტორი **„ლიკანის“** ინფრასტრუქტურას განავითარებდა და მოსახლეობასაც დაასაქმებდა, მაგრამ...

დღეს აღარც ყაზახები ჩანან და მეოთხე სამმართველოს შენობა-ნაგებობებიც დანგრეულია, ხოლო **„ქართველ ხალხზე მზრუნველი“** სააკაშვილი აცხადებს, რომ ყაზახმა ინვესტორებმა, თურმე, ლიკანში არაფერი გააკეთეს და ახლა სახელმწიფომ სხვა ინვესტორი უნდა მოიძიოს და დაინტერესოს(?!)... რომ დიადი ხელისუფლება და მისი **„გვემული“** პრეზიდენტი **„ლიკანის“** განადგურებას არავის აპატიებს. საინტერესოა, მაინც, ვის გულისხმობს ბატონი სააკაშვილი **„გამანადგურებლებში“?..**

ისტორიიდან

წლების განმავლობაში სანატორიუმი **„ლიკანი“** პრესტიჟულ სამკურნალო-დასასვენებელ კომპლექსად ითვლებოდა. ჯანმრთელობას აქ, ძირითადად, კომპარტიის მაღალი თანამდებობის პირების, კულტურის, ხელოვნებისა და სპორტის ცნობილი მოღვაწეების ოჯახები იკაჟებდნენ. გალავნით შემოსაზღვრულ ტერიტორიას სპეციალური სამსახური იცავდა და ადგილობრივებს ჯერ კიდევ იმ პერიოდში უჭირდა სანატორიუმის ფარგლებში თავისუფლად გადაადგილება.

იყო წესრიგი, სიმშვიდე, სიმკაცრე და მაღალი დონის სამედიცინო მომსახურება. სანატორიუმს საკუთარი მეურნეობაც ჰქონდა, საიდანაც ნატურალური პროდუქტებით ადგილობრივი სასადილო მარაგდებოდა. დამსვენებელთა კვების უსაფრთხოებასა და რაციონზე მთავარი შეფ-მზარეული ჯუმბერ დონდაძე ზრუნავდა და საკმაოდ წარმატებულადაც. ბატონი ჯუმბერი მას შემდეგ გარდაიცვალა, რაც სამსახური დაატოვებინეს. ინვესტორებმა მეოთხე სამმართველოს სასადილო კორპუსიდან მხოლოდ ნანგრევები დატოვეს...

დღეს მეოთხე სამმართველოს ტერიტორიაზე შესვლა მაქსიმალურად კონტროლდება დაცვის სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან. ადგილობრივი მოსახლეობისთვის წყლის დალევაც კი მკაცრად შეზღუდულია. თუ ლიკანის მცხოვრებს ბორჯომის ბუნებრივი წყლის დაგემოვნება სურს, კეთილი უნდა ინებოს და პარკში მიბრძანდეს. ამისათვის კი, 7-8 კილომეტრი ფეხით უნდა გაიაროს. სანატორიუმის შესასვლელთან, თუ პლასტმასის ბოთლით ხელში დაგინახეს, უმალ დაგისვამენ კითხვას **„სად მიბრძანდებით?“** (თითქოს გაუგებარია, რისთვისაა საჭირო პლასტმასის ბოთლი. მართალია, **„ნაცმოძრაობის“** წარმომადგენლები ბოთლებს სხვადასხვა ტიპის გართობისთვის იყენებენ, მაგრამ ათასი პრობლემით დაქანცულ ბორჯომელებს **„ბოთლებით თამაშისათვის“** ნამდვილად არ სცალიათ)... კითხვას – „სად მიბრძანდებით?“ უმალ მოჰყვება პასუხი – **„ტერიტორიაზე შესვლა აკრძალულია!“** მაგრამ თუ თქვენ ვინმე ქალბატონ საჯაიას ახლობელი ბრძანდებით, მაშინ სპეციალურ სიაში ჩაგწერენ. მიბრძანდით სანატორიუმის ტერიტორიაზე 10-15 წუთით და მიირთვით ბორჯომის წყალი, ოღონდ, წყლის საბადოს ტერიტორიას ნუ გასცდებით, რადგან ესეც... აკრძალულია! ქალბატონი საჯაია კი, როგორც გავარკვიეთ, სანატორიუმის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელია. სავარაუდოდ, სწორედ მისი მონაწილეობით განხორციელდა ყაზახებზე ტერიტორიის გასხვისება, ხოლო რომანოვების სასახლის შპს-დ გარდაქმნა, რაც (როგორც ბოროტი ხმები ამბობენ) მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილის ოჯახის კერძო საკუთრებაა. უნდა ითქვას, რომ ამ ტერიტორიაზე ადგილობრივმა მოსახლეობამ ყაზახებს თვალი რამდენჯერმე მოჰკრა. საუბრობენ დიპლომატის მეუღლე ყაზახ ქალბატონზე, რომელიც სანატორიუმს აკონტროლებს. ასე რომ, ბოროტი ჭორების გამავრცელებელთა საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ ყაზახები არსებობენ, მაგრამ საკითხავია, ვინ დგას მათ უკან, ან თავად საკუთარ სამშობლოში რას წარმოადგენენ და რამდენად სერიოზულ კომპანიას მართავენ ყაზახი ინვესტორები? როცა სანატორიუმის შენობების ნგრევა გადაწყდა, დაიწყო დემონტაჟი და დაჩქარებულ ტემპებში ქონების გაყიდვა.

როგორც ბორჯომელები იხსენებენ, სანატორიუმის კუთვნილი ტელევიზორების, ჭურჭლის, საწოლების, ლეიბებისა და თეთრეული ფასი საკმაოდ ხელმისაწვდომი იყო, მაგრამ ადგილობრივ მოსახლეობას მისი შეძენის თავის მაინც არ ჰქონდა. ამიტომ ქონების დიდი ნაწილი ბორჯომის მმართველობის ორგანოების შეძლებულმა წარმომადგენლებმა ჩალის ფასად ჩაიგდეს. დიდი ნაწილიც უფასოდ დაისაკუთრეს. ბორჯომის ერთ-ერთ რესტორანში ადგილობრივმა მოქეიფეებმა მეოთხე სამმართველოს სასადილოს კუთვნილი ლითონის ნაკეთობები შეიცნეს, რაც ერთ დროს სასადილოს ინტერიერს ამშვენებდა. ალბათ, დადგება დრო, როცა მეოთხე სამმართველოს მრავალათასიანი ქონება რევიზიას დაექვემდებარება და უპასუხო კითხვებსაც პასუხი გაეცემა, თუმცა, ბევრი დეტალის დაზუსტება იმ დროისთვის შეუძლებელი იქნება და მეოთხე სამმართველოს მატერიალური დოვლათის დიდი ნაწილიც მყიდველებსაც და მიმტაცებლებსაც ხახვივით შერჩებათ. მანამ კი, ვნახოთ, რა კავშირია მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვსა და მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილს შორის...

მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვიდან მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილამდე

1872 წელს ბორჯომის ხეობა კავკასიის მეფისნაცვალს, დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს ებოძა. 1892 წლიდან ლიკანში მეფისნაცვლისთვის სასახლისა და პარკის მშენებლობა დაიწყო, რომელიც სამი წელი გაგრძელდა. მას ცნობილი იტალიელი არქიტექტორი ბენუა ხელმძღვანელობდა. მის მიერ აგებულ შედევრს **„რომანოვების სასახლის“** სახელწოდება შერჩა და დღემდე ამ სახელითაა ცნობილი. საბჭოთა ეპოქაში რომანოვების სასახლეში სტალინი ისვენებდა და პოლიტბიუროს საგანგებო სხდომებსაც მართავდა. თარი კეპის **„დასაბინავებლად“.**

მოგვიანებით რომანოვების სასახლე მხოლოდ ექსკლუზიურ სტუმრებს მასპინძლობდა. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის არც ერთ პირველ მდივანს და, მოგვიანებით, არც ერთ პრეზიდენტს აზრად არ მოსვლია რომანოვების სასახლის დასაკუთრება და ამ სასახლეში პირადი რეზიდენციის მოწყობა (ედუარდ შევარდნაძისთვისაც კი საპრეზიდენტო კოტეჯი სასახლის მახლობლად აშენდა).

თვით კოსიგინიც, რომელიც 70-იან წლებში ბორჯომს სტუმრობდა, ცეკას ხელმძღვანელობამ არა რომანოვების სასახლეში, არამედ ცალკე აგარაკზე მოათავსა. სასახლე, როგორც დასვენების კერა, დახურული იყო კოსმონავტებისთვისაც, რომლებმაც ორი კვირა მეოთხე სამმართველოს ბაკურიანის ფილიალში გაატარეს.

გამონაკლისი მხოლოდ სააკაშვილია, რომელმაც რომანოვების სასახლე რეზიდენციად და შპს-დ გადაიკეთა. ამბობენ, რომ სააკაშვილმა საკუთარი თავი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვთან გააიგივა... აკი, სახელი და მამის სახელი – მიხეილ ნიკოლოზის ძე – იდენტურია(?!). ასე იქცა რომანოვების სასახლის **„რესტავრაცია“** სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხად. შესაბამისად, საპრეზიდენტო რეზიდენციაც სასახლეში განთავსდა.

რომანოვების სასახლეში დამკვიდრებით, ,სააკაშვილმა ხაზი თავისი გვარის **„წარმომავლობასაც“** გაუსვა, რომელსაც, სააკაშვილთა კარის ისტორიკოსთა განმარტებით, თურმე, კავშირი თარხან-მოურავთა გვაროვნულ შტოსთან აქვს (?!)...

მოკლედ, მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, რომანოვების სასახლის ინტერიერთან ერთად, ექსტერიერიც შეიცვალა და, როგორც სანდო წყაროები აცხადებენ, ისტორიული ღირებულების კედლები, აივნები, ავეჯი და ნივთები თანამედროვე მეტალოპლასტმასის დიზაინმა შეცვალა. რომანოვების სასახლეშიც და მიმდებარე ტერიტორიაზეც არა ერთი ანტიკვარული ნივთი ინახებოდა როგორც ჭურჭელი, ისე სკულპტურული ნამუშევრები. ეს უმდიდრესი კოლექცია ჯერ საბჭოთა პერიოდში, ხოლო მოგვიანებით – 90-იან წლებშიც გაიძარცვა. არავინ იცის, სად გაქრა მარმარილოს ცნობილი გოჭი და ინდაური ან ფაიფურის ჭურჭელი, რომელიც რომანოვებმა საგანგებოდ იტალიიდან ჩამოატანინეს. ხოლო რაც რომანოვების სასახლიდან გადარჩა, სააკაშვილის ოჯახმა დაისაკუთრა. ასეთია ბედის ირონია...

ბუნებრივი წყაროებით მდიდარ ბორჯომს წყურია?!.

ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან ბორჯომის რაიონის მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა აწუხებს. და მაინც, რატომ უნდა სწყუროდეს მხარეს, რომელიც მინერალური საბადოების სერიოზული მარაგებითაა ცნობილი და სადაც მსოფლიოში პოპულარული **„ბორჯომის“** წყალი ისხმება?!... ლიკანის ელიტური დასახლების მობინადრეებს სასმელი წყალი მხოლოდ დღეში ერთხელ, საღამოს 18.00-დან 19.00-მდე მიეწოდება. პრინციპში, ესეც დიდი მიღწევაა, რადგან სულ ორიოდე კვირის წინათ, სასმელი წყლის საფასურის გადაუხდელობის მოტივით, ლიკანელები უწყლოდ დატოვეს და ვიდრე ხელმოკლე მოსახლეობას ბოლო თეთრი არ დაადებინეს, ონკანები საგულდაგულოდ დააშრეს. საბრალო ხალხი მინერალურ წყალსაც ვერ იმარაგებდა, რადგან (როგორ ზემოთ მოგახსენეთ) სანატორიუმ **„ლიკანის“** საბადოზე ლომის თათი ყაზახ ინვესტორებს უდევთ... იქ შესვლის უფლება ყველას არ აქვს. ორი დღე მოსახლეობა სასმელ წყალს ბოთლებით, ბიდონებითა და ქილებით ე.წ. 16-სართულიანი კორპუსის ეზოდან ეზიდებოდა და გულისწყრომას ვერ მალავდა.

– ყველაფერი წაგვართვეს, წყალიც და მიწებიც. ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი უკვე გაყიდულია. ყაზახებმა მეოთხე სამმართველო დაისაკუთრეს, მაგრამ, აბა, ზემოთ ნახეთ, ე.წ. **ვცსპ**-ს სანატორიუმები ვის ხელშია? – ბრაზობს შუახნის ბორჯომელი მამაკაცი...

– ვის ხელშია? – გულუბრყვილო კითხვას ვუსვამ მას და მეხუთე ბოთლის შევსებაზე გადავდივარ.

– კოდუებმა იყიდეს მთელი ტერიტორია. სანატორიუმებიც და ტყეებიც. ახლა მეზობლებთან კოდუების ხალხი მიდის და ეუბნება, ბაღების მოვლა-პატრონობას თავი დაანებონ, რადგან მაინც დასანგრევი გაუხდებათ...

– თუ კოდუებმა იყიდეს, ე.ი. მათი საკუთრებაა და რას იზამთ?!. – ვერაფრით ვამშვიდებ გულდაწყვეტილ მამაკაცს.

– კაცო, იცი, რა მაინტერესებს? ყველაზე წარმატებულები ბიზნესშიც და არჩევნებშიც მარტო **„ნაცმოძრაობის“** მხარდამჭერები როგორ არიან?.. მე იმას ვამბობ, რომ მალე ბორჯომელებს ჰაერის საფასურსაც გადაგვახდევინებენ... მერე საერთოდ გაგვასახლებენ აქედან.

ჩემი ბოთლი შეივსო. შინ მივდივარ, მაგრამ თანამოსაუბრე არ ჩერდება:

– მეოთხე სამმართველოს **„ბორჯომის“** შადრევანთან მიდი და აივნიდან გადაიხედე, გული გაგისკდება, იმდენი მინერალური წყალი იღვრება. ხალხი კი მარტო მშიერი კი არა, უკვე წყალსაც დანატრებულია...

ამ შეხვედრიდან მეორე დღეს ბორჯომის ერთ-ერთ აფთიაქში **„ენტეროლის“** საყიდლად შევედი. მეგონა, ვირუსმა მარტო ჩემი ანები შეაწუხა... შევცდი... დამსვენებლებიც და ადგილობრივი მოსახლეობაც იმ დღეს მხოლოდ **„ენტეროლს“** ითხოვდა... – ჩვენს ქალაქში სუფთა სასმელი წყლის პრობლემაა, – მომიბოდიშა ახალბედა პროვიზორმა.

მეოთხე სამმართველოს სტუმართა გალერეა

სხვათა შორის, სხვა მრავალ დამსვენებელთან ერთად, მეოთხე სამმართველოს ყოველ ზაფხულს სტუმრობდა ცნობილი მოჭადრაკე ნანა ალექსანდრია და მისი ვაჟი გიგა ბოკერია. პატარა გიგა ყვავილნარში თამაშობდა და ლიკანის ჰაერზე კაჟდებოდა (როგორც ჩანს, ჩვენი ბედკრული ქვეყნის საზიანოდ!!!)... მი-ირთმევდა იმ ბიძია ჯუმბერის მომზადებულ სადილს, რომელიც, მოგვიანებით, მისმა **„ნაცხელისუფლებამ“** სამმართველოდანაც გაათავისუფლა და სასადილოდანაც.

საოცარია, რომ არც გიგა ბოკერიას და არც სხვა ექს-დამსვენებლებს, რომლებიც 2003 წლის ნოემბერში ხელისუფლების სათავეში მობრძანდნენ, მეოთხე სამმართველოს განადგურებაზე ხმა არ ამოუღიათ. პირიქით, თავად შეუწყვეს ხელი სანატორიუმ **„ლიკანის“** მიწასთან გასწორებას... თითქოს შური იძიეს ძველ დროსა და ადამიანებზე, რომლებიც არა მარტო ქმნიდნენ, არამედ ინარჩუნებდნენ **„ლიკანს“**. ფსიქოლოგიურად სხვა მიზეზს ნამდვილად ვერ იპოვით იმ ვანდალიზმის ასახსნელად, რაც მეოთხე სამმართველოს საკურორტო მეურნეობასთან მიმართებაში **„ვარდების რევოლუციონერმა“** ხელისუფლებამ განახორციელა.

სანატორიუმის შესასვლელთან ორ ახალგაზრდა გოგონას ვხვდები. – თქვენც არ გიშვებენ? – ვეკითხები, – არა, სიაში ჩაწერილი ვართ, მაგრამ ვერ გვიცნეს. ისე, თუ 2 ლარს გადაიხდით, მეორე შესასვლელიდან შეგიშვებენ, მაგრამ ცოტა ხნით... დროს ინიშნავენ, – მეხმარებიან გოგონები... იქვე, ტაქსის გაჩერებასთან მამაკაცი უფილტრო სიგარეტს აბოლებს... – ეჰ, რას მოვესწარით, ბორჯომელებს **„ბორჯომის“** წყალს ადარ გვასმევენ. ამან მაინც დაწეროს სადმე, ჟურნალისტი ხართ, არა?!..

ლიკანში გატარებული ათი დღის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობისგან მეოთხე სამმართველოს ირგვლივ არა ერთი სევდიანი ისტორია მოვისმინე. სხვათა შორის, ჩემი ბავშვობის ყველაზე ლამაზი წლები სანატორიუმ **„ლიკანში“** გავატარე, რადგან მამაჩემი 70-იან წლებში მეოთხე სამმართველოს მთავარი ექიმის მოადგილე გახლდათ და იმ ცნობილ მშობლებს მკურნალობდა, რომელთა შვილების დიდი ნაწილიც დღეს ხელისუფლებაში ზის და ქვეყანას ზიანს აყენებს. მახსოვს, როგორ ვუფრთხილდებოდით ყოველ ხეს, ყვავილსა და ბუჩქს. რომანოვების სასახლეშიც იშვიათად გვიშვებდნენ და ეს სტუმრობა ზღაპრების სამყაროში მოგზაურობას ჰგავდა. ახლა ამ საოცრებიდან მხოლოდ ნანგრევები დარჩა...

საინტერესოა, რა შეიძლება შექმნან უკეთესი, ვიდრე თავის დროზე ბენუამ შექმნა?.. ან რატომ გაანადგურეს, თუ აშენებას მთელი ოთხი წლის მანძილზე არ აპირებდნენ?... რატომ წაართვეს დამსვენებლებს **„ლიკანში“** სტუმრობის უფლება და რატომ მოაკლეს ბიუჯეტს ის მოგება, რასაც მეოთხე სამმართველოს სანატორიუმ **„ლიკანის“** საქმიანობა სეზონურად ტოვებდა?.. რატომ უნდა მი-ირთვას ლიკანის მოსახლეობამ მინერალური წყალი 8 კილომეტრის დაშორებით, როცა **„ბორჯომის“** საბადო ორ ნაბიჯზეა?.. უფრო მეტიც, რა მიიღეს ბორჯომელებმა სანატორიუმ **„ლიკანის“** მესაკუთრე ყაზახი ინვესტორებისგან? უნდა აგოს თუ არა პასუხი უცხოელმა ინვესტორმა დარღვეული საკონტრაქტო პირობების გამო და ვინ დათვლის ზარალს, რომელიც ყაზახმა ინვესტორებმა ბორჯომს, ბორჯომელებსა და ქვეყანას მიაყენეს?..

რა დალევს უპასუხო კითხვებს...

ირმა ინაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავრენტი ბერია — ქართული გენია

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

წყენა ხომ სამ რესპუბლიკას ადგებოდა, რაზედაც მიანიშნა კიდეც ბერიამ სტალინს.

კონფლიქტის შიგთავსი ფრიად გამჭვირვალე გახლდათ – ბერია თავად ყოველთვის ზუსტი და პუნქტუალური იყო, მიზანსწრაფული და საქმიანი და ამასვე მოითხოვდა სხვებისაგანაც. მაგრამ, უფრო ლაპარაკში, და არა შრომაში გაწაფული ახალგაზრდა კავკასიელი **"ლიდერები"** (კახიანი და ლომინაძე წლობით მუშაობდნენ ამიერკავკასიაში) დასანახად ვერ იტანდნენ ამ პენსნეიან ჩეკისტს – მათ სრულ ანტიპოდს.

და პიროვნული ანტაგონიზმი იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი არ გამქრალა **"ლიდერთა"** სხვა სამუშაოზე გადაყვანის შემდეგ.

ლომინაძე – ეს არის აწეწილი ხასიათისა და სამსახურის მქონე ადამიანი. მე შედარებით დაწვრილებით გაგაცნობთ მას, კახიანს და კიდევ რამდენიმე პიროვნებას, ორი გარკვეული მიზეზის გამო.

პირველ რიგში იმიტომ, რომ მკითხველმა კარგად დაინახოს სტალინის მდგომარეობის სირთულე. მეორეც – მკითხველმა კარგად დაინახოს, რომ ბერიას მუდმივი კონფლიქტების თავის ამიერკავკასიელ კოლეგებთან განპირობებული იყო არა მისი ინტრიგანობით, არამედ მომთხოვნელობითა და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულებით და ლაყბობისადმი შეურიგებლობით.

ბევრი მისი აღზევებული თანატოლი თავის წარმატებას მხოლოდ საკუთარ დამსახურებად მიიჩნევდა და ამიტომაც მიმდინარეობდა მათი დეგრადირების პროცესი. ლავრენტი კი თავის აღზევებაში მხოლოდ იმ ამოცანებს ხედავდა, რომელიც მის წინაშე დაისმებოდა ხოლმე ახალ მაღალ თანამდებობაზე დანიშვნისას.

ზუსტად ასე იყო – სტალინის მიერ წახალისებული ზოგი ვინმე ცხვირს აიბზუებდა, ბერიას კი მუდამ სამუშაო ახსოვდა, ასეთ ხალხს კი ჭორების გავრცელება და ინტრიგები არ ეხერხებათ.

სტალინს და სამშობლოს კადრები სჭირდებოდა. სტალინი ეძებდა – მისი აზრით – ღირსეულ კადრებს, აწინაურებდა და ელოდა პოლიტიკურ ორგანიზატორთგან ყოველდღიურ სკრუპულოზურ საქმიანობას ქვეყნის ეკონომიკის ასაღორძინებლად.

სამწუხაროდ ყველა მათგანი არ ამართლებდა და თავი დამოუკიდებელ პოლიტიკოსად მიაჩნდა. ეს ადრე თუ გვიან მათთვის კრახით მთავრდებოდა – ისევე, როგორც ლომინაძისათვის.

ლომინაძე დაიბადა 1897 წელს და ორი წლით უფროსი იყო ბერიაზე. იგი სწრაფად აღზევდა: 1922-1924 წლებში იყო საქართველოს ცეკას მდივანი, მერე ახ.კომუნისტთა ინტერნაციონალის თავმჯდომარე. აქ აიბზუა ცხვირი ლომინაძემ.

და არა მხოლოდ მან...

1929 წლის 29 ივლისს სტალინმა გაუგზავნა მოლოტოვს მკვახე წერილი, სადაც აღნიშნავდა:

"...გადაჭრით ვეწინააღმდეგები "კონსომოლსკაია პრავდაში" სტენის სტატიის გამოქვეყნებას (იგი 30 წლის ასაკში იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე), რომელიც შაკინის სტატიის ანალოგიურია. ეს ან რედაქციის უხეშობაა... ან ცენტრალური კომიტეტის პირდაპირი გამოწვევა. კომკავშირლების პარტიის გენერალური ხაზისადმი დამორჩილება "მოსამსახურეობა" არ არის, რასაც სტენი აღნიშნავს. სხვაგვარად დისციპლინა მოირყევა და პარტია დისკუსიის კლუბად იქცევა. სწორედ ასე იწყებდნენ მოღვაწეობას ანტიპარტიული ოპოზიციური ჯგუფები. ასე იწყებდა თავის "საქმიანობას" ტროცკი და ამ მუსიკის ჰანგზე ცეკვავდა ზინოვიევი. ეს გზა აირჩია ბუხარინმაც. ამავე გზას ადგას შაკინ-ავერბახ-ლომინაძე-სტენის ჯგუფიც".

მაიაკოვსკი წერდა ლენინზე: **"იგი მეგობრებთან ზომაზე მეტად რბილი და ალერსიანი იყო, მტრებისადმი კი სასტიკი, რკინასავით მედგარი და დაუნდობელი".**

ეს სიტყვები სტალინსაც ეკუთვნის... აი, რატომ მოექცა იგი ამხანაგურად ლომინაძეს, სტენს და შაკინს. ორი უკანასკნელი საკუთარ თანამდებობებს შერჩნენ, ლომინაძე კი მალე დანიშნეს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად.

მაგრამ იგი ვერ ისვენებდა და საეჭვო კავშირი გააბა სტალინის მიერ დაწინაურებულ კიდევ ერთ ახალგაზრდა კაცთან – ეს იყო პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, რუსეთის ფედერაციის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, 37 წლის სირცოვი.

და 1930 წლის 23 ოქტომბერს სტალინი კვლავ წერს მოლოტოვს:

"ვიაჩესლავ!

1) გიგზავნი რეზნიკოვის შეტყობინებას სირცოვ-ლომინაძის ანტიპარტიულ ფრაქციულ ჯგუფზე. წარმოუდგენელი საზიზღრობაა. ყველა მონაცემებით დასტურდება რეზნიკოვის შეტყობინების ჭეშმარიტება. გადატრიალებლობანას და პოლიტბიურობანას თამაშობდნენ და სავსებით ჩაიძირენ ჭაობში..."

სხვათა შორის, შემდეგ ეწერა:

"2) რაც შეეხება ტუხაჩევსკის, იგი ასპროცენტიანი მართალი გამოდგა ამ საქმეში, რაც მისასალმებელია..."

კიდევ ერთხელ ვიმეორებ: სტალინს სურდა, რომ ნდობოდა ამხანაგებს და ამაში ზოგჯერ მწარედ ტყუვდებოდა – ასე იყო ტუხაჩევსკისთან დაკავშირებით. მასზე, 1930 წელს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად სერიოზული ჩვენებები მისცეს ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის დაპატიმრებულმა პედაგოგებმა კაკურინმა და ტროიცკიმ. ორივენი ამტკიცებდნენ, რომ ლენინგრადის სამხედრო ოლქის მაშინდელი მთავარსარდალი შესაფერის მომენტს ელოდება, რათა მოახდინოს სამხედრო გადატრიალება, დაამყაროს სამხედრო დიქტატურა და ამაში მას სამხედრო წრეებში უამრავი მომხრე ჰყავს.

კაკურინმა და ტროიცკიმ თავიანთი ჩვენებები დაადასტურეს დაპირისპირებისას, მაგრამ სტალინმა, გამარნიკის, იაკირისა და დუბოვოის დაკითხვის შემდეგ განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა **"გაუგებრობას"**, და გადაწყვიტა, რომ **"საქმე დაეხურათ"**.

მას ხომ სჯეროდა ამხანაგების!

მაგრამ ჩვენ დაგვავიწყდა **"პოლიტბიურობანას"** მოთამაშე ლომინაძე. ამ თამაშის შემდეგ, იგი, რა თქმა უნდა, მოხსნეს (ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი მისგან ჩაიბარა მამია ორახელაშვილმა) და...

და ლომინაძე მოსკოვში გადაიყვანეს საავიაციო ქარხნის პარტკომად. სტალინის მას ჯერ კიდევ ისე ექცეოდა, როგორც დაბნეულ უმცროს ამხანაგს და იმედოვნებდა, რომ იგი გონს მოეგებოდა და დაიწყებდა არა საეჭვო პოლიტიკური გეგმების შედგენას, არამედ ეკონომიკას მიხედავდა. 1933 წელს მას მაგნიტოგორსკის საქალაქო კომიტეტის მდივნად აგზავნიან.

სამწუხაროდ, ამბიციები არ გამქრალა, ლომინაძემ **"გადატრიალებლობანას"** თამაშს თავი არ მიანება, რასაც ბოლოს და ბოლოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა მიაქცია ყურადღება. 1935 წლის იანვარში ლომინაძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

სირცოვი – რომელიც 1930 წელს მოხსნეს, 1937 წლამდე ქარხანა **"ელექტროსტალის"** დირექტორი იყო. იგი 1937 წელს, როგორც სტენი და შაკინი, რეპრესირებულ იქნენ...

კახიანისა და ბერიას ბედი კი კონფლიქტურად დაუკავშირდა ერთმანეთს არა მხოლოდ მათ სიცოცხლეში, არამედ ორივეს სიკვდილის შემდეგაც კი...

კახიანი ლომინაძის თანატოლი და ახლობელი იყო, რომელიც 1923 წლიდან 1930 წლამდე საქკომპარტიის ცეკას მდივანი იყო, შემდეგ შუა აზიაში (ყაზახეთში) გადაიყვანეს, 1933 წელს კი **"პრავდის"** რედკოლეგიის წევრი იყო. 1934 წელს კახიანი რსფსრ-ს ჩრდილოეთ კავკასიის სამხარეო კომიტეტში მუშაობდა რწმუნებულად.

1937 წლის ზაფხულში იგი დააპატიმრეს და საქართველოს შინსახკომის **"სამეულმა"** მას დახვრეტა მიუსაჯა.

რაც შეეხება 1937 წლის რეპრესიებს და თუ რა იყო **"სამეული"**, ამის თაობაზე საუბარი მოგვიანებით გვექნება. მაგრამ ახლავე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლავრენტი ბერია იყო **"სამეულის"** წევრი.

კახიანი 1937 წელს დახვრიტეს, ბერია კი 1953 წელში. მაგრამ, როცა დაიწყო 1937-1938 წლებში **"უდანაშაულოდ დაღუპულთა"** რეაბილიტაცია, 1955 წელს სკკპ ცეკას განცხადებით მიმართა კახიანის ქვრივმა ტ.ნ. დავთიანმა მისი დაღუპული მეუღლის რეაბილიტაციის თხოვნით.

11 მარტს სსრკ გენპროკურორმა ბარანოვმა მიმართა ცეკას, სადაც აღნიშნავდა, რომ კახიანი 1937 წლის *აგვისტოში* დააპატიმრა საქართველოს შინსახკომმა.

ეს ცნობები ამოღებულია დოკუმენტთა კიდევ ერთი კრებულიდან, რომელიც ფონდმა **"დემოკრატიამ"** გამოსცა შემდეგი სახელწოდებით – **"როგორ ხდებოდა რეაბილიტაცია 1953 წლის მარტიდან 1956 წლის თებერვლამდე"**.

ამ კრებულის კომენტარებში მითითებულია, რომ კახიანი დააპატიმრეს არა აგვისტოში, არამედ *ივლისში*. თითქოს წვრილმანია!

თუნდაც ასე იყოს! შეიძლება 1937 წელს ძველი სტილით ხელმძღვანელობდნენ, 1956 წელს კი ახალი სტილით. მაგრამ, რატომ აპატიმრებს რსფსრ-ს ერთ-ერთი რეგიონის საკავშირო რწმუნებულს საქართველოს შინსახკომი? არ უნდა დავიჯეროთ, რომ ბერიამ კახიანი დააპატიმრა რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, ისევე, როგორც ნაპოლეონმა დაატუსაღა ჰერცოგი ენგიენსკი ბადენის ტერიტორიაზე. მოსკოვის სანქციის გარეშე ასეთი რამ არ ხდებოდა – კახიანი ხომ საკავშირო იურისდიქციის ქვეშ იმყოფებოდა.

ბარანოვის ბარათის წაკითხვისთანავე (მკითხველი ამაში უნდა მერწმუნოს) იჯერებ, რომ კახიანი დამნაშავე იყო. ბარანოვის წერილი კი, რომელიც უამრავ შეუსაბამობებს მოიცავს, ცდილობს კახიანის გამართლებას.

მაგრამ, კახიანის ქვრივის წერილში ხომ ჩაწერილია ფრაზა **"ჯალათი ბერია!"** კახიანის რეაბილიტაცია მოხდა, მაგრამ...

მას პარტიის წევრობაც აღუდგინეს, მაგრამ რატომ არ მოხდა მისი რეაბილიტაცია **"დანაშაულის ნიშნების არქონის გამო"**, ჩემთვის გაუგებარია...

მაგრამ, მსურს ვიცოდე...

მხოლოდ კახიანის საქმეში არსებულ კაზუსზე დაყრდნობით მე არ მინდა შევუდგე 1937-1938 წლების რეპრესიების ანალიზს.

მხოლოდ ერთ წვრილმანზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას...

"დემოკრატები" წუწუნებენ ქართველი პოეტების ტიციან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ნაადრევად ჩამქრალი ტალანტის თაობაზე. და ისინი, რა თქმა უნდა, დაიღუპნენ **"სტალინის სატრაპის"** ბერიას ხელით.

მაგრამ, აი, როგორ აღწრა თავის დღიურში ტიციან ტაბიძე 1933 წლის შემოდგომაზე კორნეი ჩუკოვსკიმ:

"სუფრის თავში თამადა ტიციან ტაბიძე იჯდა, ბულბულად ქცეული ზორბა ადამინი, რომელიც თამადად იყო დაბადებული..."

შემდეგ მიდის საუბარი ქეიფზე და კვლავ მოხსენიებულია მომავალი **"წამებული"**:

"ტაბიძე, რუსულ-ფრანგული მიმართულების ყოფილი სიმბოლისტი, და მისი მთვრალი ლექსები გაჟღენთილია 1908-1910 წლების სულისკვეთებით. სახით იგი ოსკარ ვაილდს გვაგონებს".

არ ვიცი, რა ჰქონდა ჩუკოვსკის მხედველობაში, როცა ტაბიძეს ოსკარ ვაილდთან აიგივებდა – მხოლოდ გარეგანი მსგავსება, თუ, თანამედროვეთა ენით რომ ვთქვათ, მისი არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია. მაგრამ, იოლი წარმოსადგენია, თუ როგორი დამოკიდებულება ექნებოდა ოსკარ ვაილდის ორეულს **"ბარბაროს"** სტალინთან, **"უანდარმ"** ბერიასთან და საერთოდ ამიერკავკასიის სოციალისტურ რეკონსტრუქციასთან...

იგი კი ქართულ ინტელიგენციაში დიდი ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობდა. ლიტერატურის ისტორიაში ჩახედულმა ხალხმა შეიძლება წინ დამილაგოს 1934 წლის პირველი საკავშირო მწერალთა ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში, სადაც გარეგნულად ფრიად ეფექტური და სასიამოვნო სიტყვებით გამოდიოდნენ ტაბიძე და პაოლო იაშვილი. აღნიშნა რა შოთა რუსთაველის როლი მსოფლიოს ლტერატურაში, საქართველოს მწერალთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ტოროშელიძემ განაცხადა:

"ჯერ კიდევ რევოლუციამდე... ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდა "ცისფერყანწელ" სიმბოლისტთა სკოლის ბურჟუაზიულ-დეკადენტური მიმართულება. იგი გამოირჩეოდა უკიდურესი ინდივიდუალიზმით, თვითმიზნური ესთეტიზმით, რეალობას დაშორებით, ბოჰემის კულტით და სიმახინჯის ესთეტიკით... დაახასიათეს პაოლო იაშვილის, ტიციან ტაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, კოლაუ ნადირაძისა და სხვათა შემოქმედება. და მიუხედავად "ცისფერყანწელთა" არაერთი განცხადებისა, მათი მხრიდან საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალური დამოკიდებულების თაობაზე, თავისი შემოქმედებით ამ მწერლებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს ლიტერატურული ფრონტის არაპროლეტარულ ბანაკში..."

და სიტყვა **"ფრონტი"** აშკარად შეესაბამებოდა რეალობას. მაგალითად, ანტისაბჭოთა მწერალი კონსტანტინე გამსახურდია **"ქართულ რასას"** აღმერთებდა (როგორც ჩანს, სპილოების სამშობლო იყო არა მხოლოდ ბანდერას უკრაინა, არამედ გამსახურდიას საქართველოც), და, აი, რას სწერდა იგი მისივე რედაქტორობით გამოცემულ ჟურნალ **"ილიონში"** საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინ:

"როცა ერი მარცხდება პოლიტიკურ ფრონტზე, იგი მთელ სასიცოცხლო ძალებს ძაბავს, რათა გააგრძელოს ბრძოლა კულტურის ფრონტზე. დღეს ჩვენ დაძაბულები უნდა ვმუშაობდეთ და საალყო მდგომარეობა უნდა გამოვაცხადოთ კულტურის აღორძინების ეგიდით".

გამსახურდია ცრუობდა – საალყო მდგომარეობა მან გამოაცხადა არა კულტურის გასაბატონებლად, არამედ ბატონებისათვის. მაგრამ იგი მეტად ჭკვიანი და დამაჯერებელი იყო.

ოციან წლებში ბერია მათთან დაპირისპირებული იყო როგორც ჩეკისტი, ოცდაათიან წლებში კი დაუპირისპირდა როგორც პოლიტიკური ლიდერი. და იმავე ყრილობაზე, არც თუ ურიგო შემოქმედმა ნიკოლო მიწიშვილმა ბოლშევიკ ბერიას მადლობა უძღვნა. და ეს არ გახლდათ მლიქვნელის პანეგირიკი, ეს იყო ფაქტის კონსტატაცია:

გაგრძელება იქნება

“კოლხები – ქართველების წინაპრები”

მართლაც, ამ ეპოქაში შემოიღეს ზოგადეროვნული ცნებები **„საქართველო“** და **„ქართველი“**, რაშიც ჩვენი ქვეყნის კუთხეები და მათი მკვიდრები მოიაზრებოდნენ.

სამწუხაროდ, ერთიანი საქართველო ისევ დაიშალა (XV ს.) სამეფო-სამთავროებად, მაგრამ ამ ცნებებმა მაინც მყარად შეინარჩუნეს ეროვნული ფუნქცია.

ამ მოვლენას აღმოსავლეთ საქართველოში გარკვეული ცვლილებები მოჰყვა – იბერიის სამეფო უკვე ადარ იხსენიებოდა, მაგრამ მის ყოფილ ტერიტორიაზე წარმოჩინდნენ ქართლისა და კახეთის სამეფოები.

არც ჰერეთის სამთავრო იხსენიებოდა, მის ტერიტორიაზე სწორედ კახეთის სამეფო ჩამოყალიბდა.

შემდგომში მოხდა მათი გაერთიანება და მოიხსენიებოდა ქართლ-კახეთის სამეფოდ, რომელსაც მეტ-ნაკლებად დაეკისრა იბერიის სამეფოს ფუნქცია.

ერთიანი საქართველოს ეპოქაში და მისი დაშლის მომდევნო საუკუნეებში გაცილებით მეტი ცვლილებები იყო დასავლეთ საქართველოში:

– 1204 წელს ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი საერისთავოს, ლაზიკის ძირითადი ნაწილი, რომელიც მდებარეობდა მცირე აზიის დასავლეთით (დღეს – ლაზისტანის ტერიტორია), მოხვდა ახლადწარმოჩენილ **„ტრაპიზონის იმპერიაში“**, ხოლო შემდგომ **„ოსმალეთის იმპერიაში“** და, ფაქტობრივად, მოწყდა ქართულ სინამდვილეს;

– ლაზიკის იმ ნაწილში, რომელიც დარჩა საქართველოს საზღვრებში (დღევანდელი სარფიდან მდინარე რიონამდე) ჩამოყალიბდა **„აურიის საერისთავო“**, რომლის ერისთავები იყვნენ დადიანები, ტიტულით **„გურიელ-დადიანი“**;

– XII საუკუნის დასაწყისში, როდესაც ერთიანი საქართველოს ცენტრი ქუთაისიდან თბილისში გადაიტანეს, ისევ აღსდგა **„აფხაზეთის საერისთავო“**, რომლის ერისთავები, შემდგომში მთავრები, უცვლელად იყვნენ ლაზური გვარის, შარაშიების (ქართულ წყაროებში – შერვაშიძეები) წარმომადგენლები;

– პარალელურად წარმოჩინდა **„ოდიშის საერისთავო“**, რომელშიც შევიდნენ ლეჩხუმი და სვანეთი, მისი ერისთავები იყვნენ დადიანები, ტიტულით **„ბედიან-დადიანი“**;

– XII საუკუნის დასაწყისში, როდესაც დიდმა დავით აღმაშენებელმა ურჩი ლაზი ფეოდალები ბაღვაშები დასაჯა, ჩამოართვა მათ აღმოსავლეთ კლდეკარის საერისთავო, ორბეთი და ატენი, რომელიც დადიანებს გადასცა. ბაღვაშებს ჩამოართვა მარგვეთის საერისთავოც, რომელიც ეკლესიას გადასცა და ბაღვაშებს დაუტოვა მარგვეთის ჩრდილო ნაწილი (დღევანდელი რაჭა), რომელსაც შემდგომ **„რაჭის საერისთავო“** ეწოდა;

მართალია ამ საერისთავოების მკვიდრებს იმ ეპოქიდან ეწოდათ **„გურულები“, „აფხაზები“, „ოდიშარები“, „რაჭველები“**, მაგრამ ისინი მეგრელები იყვნენ და მათი ენა იყო მეგრული.

როგორც ცნობილია, მონღოლების შემოსევის შედეგად საქართველოში დაიწყო ორმეფობის ხანა (1249 წ.), როდესაც მარგვეთის საერისთავოს (დღევანდელი ზემო იმერეთი და რაჭა), სამოქალაქოს (ქუთაისის შემოგარენი) და მოხირისის (დაახლოებით დღევანდელი სამტრედიის რაიონი) ტერიტორიაზე დამკვიდრდა დავით VI ნარინი, ბაგრატიონი, რომელიც ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში, დავით VI ნარინი, ბაგრატიონი, ქართველთა მეფედ იწოდებოდა.

მართალია, გიორგი V ბრწყინვალემ ისევ შესძლო საქართველოს გაერთიანება (1329 წელს), მაგრამ დავით ნარინის შთამომავალი ბაგრატიონები ისევ დარჩნენ დასავლეთ საქართველოში.

სამწუხაროდ, ერთიანი საქართველო საბოლოოდ დაიშალა, როდესაც ბაგრატ ბაგრატიონი გადაუდგა ქართველთა მეფე გიორგი III-ს და თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა (1463 წელი).

სწორედ ამ ეპოქიდან ჩნდება ტერმინი **„იმერეთი“** და იმერეთში მცხოვრებ მეგრელებს ეწოდათ **„იმერლები“**.

XV საუკუნის ბოლოს, **„ოდიშის საერისთავოს“** ბაზაზე ჩამოყალიბდა „**სამეგრელოს სამთავრო**“, რომელშიც შევიდა ყოფილი ეგრისის სამეფოს ტერიტორია, გარდა იმ ტერიტორიისა, რომელიც იმერეთის სამეფოს ეკავა, ფაქტობრივად ის ტერიტორიაა, სადაც ძირითადად მეგრელები ცხოვრობდნენ.

„სამეგრელოს სამთავროში“ შევიდა გურიისა და აფხაზეთის საერისთავოები, ლეჩხუმი და სვანეთი.

სხვათა შორის, აჭარა იმ ეპოქაში ადმინისტრაციული ერთეული არ იყო და გურიის საერისთავოს რიგით რეგიონს წარმოადგენდა.

როდესაც ოსმალეთმა ომებით დაიპყრო აჭარის ტერიტორია (XVI საუკუნე), მას შემდეგ ამ მხარეს ეწოდება **„აჭარის სანჯაყი“**, ხოლო მისი კვლავ საქართველოში დაბრუნების შემდეგ, იწოდება **„აჭარად“**.

XVI საუკუნის ბოლოს გურიის, ხოლო XVII საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის საერისთავოები სამეგრელოს სამთავროსგან დამოუკიდებელნი გახდნენ და სამთავროების სტატუსი მიიღეს.

ამის მისაღწევად აფხაზეთის ერისთავმა შარაშიამ და აფხაზეთის დიდებულებმა აშკარად ანტიქართული გზა აირჩიეს – ისინი, ფაქტობრივად ნებაყოფლობით შევიდნენ თურქეთის მფარველობის ქვეშ, დაიწყეს ჩრდილოკავკასიიდან ჩერქეზების, ადიღების, ყაბარდოელების, ბალყარების და ა.შ. ჩამოსახლება, რომლებსაც იყენებდნენ სამეგრელოს წინააღმდეგ საბრძოლველად.

სწორედ აქედან დაიწყო აფხაზეთის გაუცხოება ქართული სინამდვილიდან, რამაც საშინელი ასახვა ჰპოვა საქართველოს ისტორიაში.

დასავლეთ საქართველოში, ყოფილ ეგრისის სამეფოში, ერთ-ერთი ძირითადი ცვლილება იყო ის, რომ გარკვეული რეგიონები ქართულენოვანნი გახდნენ.

ეს განაპირობა შემდეგმა მოვლენამ: მართალია IX საუკუნეში ეგრისის სამეფოს სახელმწიფო ენა გახდა ქართული, მაგრამ თითქმის XV საუკუნემდე მთელს დასავლეთ საქართველოში ძირითადად მეტყველებდნენ მეგრულად, მიუხედავად იმისა, რომ, უკვე იმერეთ-გურია-რაჭა-აჭარაში მცხოვრები მეგრელები იმერლებად, გურულებად, რაჭველებად და აჭარლებად იწოდებოდნენ.

ცნობილია, რომ იბერიის (ქართლის) სამეფოში არაბების ბატონობის ეპოქაში, VII-X საუკუნეებში, ადგილი ჰქონდა იბერების (ქართლელების) მიგრაციას ეგრისის სამეფოში, როდესაც ისინი თავს არიდებდნენ გაუსაძლის პირობებს და ეგრისში გადადიოდნენ, სადაც მათ ძმურად ღებულობდნენ მეგრელები.

ეს პროცესი, ალბათ, განსაკუთრებით აქტიურად წარიმართა მაშინ, როცა ერთიანი საქართველოს დედაქალაქი იყო ქუთაისი (1010-1122წ.წ.).

ეტყობა, ამ მოვლენამ იმდენად მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ იბერიაში (ქართლში) მოსახლეობის აშკარა შემცირება გამოიწვია. მით უმეტეს, იბერები (ქართლელები) ისე მყარად დამკვიდრდნენ ეგრისში, რომ ისტორიაში არ ჩანს უკუმიგრაციის გავლენა.

შესაძლებელია, ერთგვარად ამანაც განაპირობა დიდი დავით აღმაშენებლის მიერ 200 ათასამდე ყივჩაღის ჩამოსახლება იბერიაში (ქართლში).

ყოველ შემთხვევაში, ადგილობრივ მეგრელებს და აღმოსავლეთიდან გადასულ იბერებს (ქართლელებს) დაერქვათ იმერლები, გურულები, რაჭველები და აჭარლები.

ვარაუდობენ, თითქოს მათში დაახლოებით 70-75 პროცენტს მეგრული წარმომავლობა აქვს და დაახლოებით 25-30 პროცენტს – იბერიული (ქართლური).

სწორედ ამ მოვლენამ განაპირობა, რომ ყოფილ ეგრისის სამეფოს სინამდვილეში ეს რეგიონები ქართულეროვანი გამხდარიყვნენ. რადგანაც ერთიანი საქართველოს დედაქალაქი ქუთაისი იყო, ალბათ ამან გამოიწვია ის, რომ იმერეთი ყველაზე ადრე გახდა ქართულენოვანი, მაშინ, როდესაც გურია-აჭარა მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან გახდნენ ქართულენოვანი რეგიონები.

ბუნებრივია, ერთიანი საქართველოს მომდევნო ეპოქაში ქართლსა და ეგრისში განვითარებულ მოვლენებს არავითარი ეთნიკური ცვლილებები არ მოჰყოლია, ვინაიდან ქართლელები და მეგრელები, ფაქტობრივად ერთნი, უძველესი კოლხების (ეგრების) პირდაპირი შთამომავლები იყვნენ.

სამწუხაროდ, ერთგვარი გაუგებრობაა აფხაზებთან მიმართებაში.

მართალია, XX საუკუნის დასაწყისიდან უკვე ოფიციალურად არსებობს ეროვნება **„აფხაზი“**, მაგრამ დღევანდელი აფხაზებიც, ძირითადად ქართველების შთამომავლები არიან, მათში მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით ურევია ჩერქეზურ-ადიღეური მოდგმის ხალხი (დაახლოებით 10-12 პროცენტი), რაც დიდ გავლენას ვერ მოახდენდა აფხაზებში არსებულ ქართულ ეთნოსზე.

ამდენად, ქართველი ხალხის ეთნოსზე ყველაზე ნათლად სწორედ საქართველოს ისტორიაში მომხდარი მოვლენები მეტყველებენ.

მიღებულია, თითქოს მონოეთნიკური ხალხები არ არსებობენ და არც ქართველი ხალხი იქნება გამონაკლისი, მაგრამ ისტორიიდან აშკარად ჩანს, რომ საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა ისეთი მოვლენები, რომლებსაც შეიძლებოდა რაიმე მნიშვნელოვანი ეთნიკური ცვლილებები გამოეწვია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას:

– ქართველები ერთი ეთნოსის ხალხია და ამ ეთნოსის სათავე კოლხეთშია (ეგრისში).

ბუნებრივია, არავითარი ერთმანეთისაგან განსხვავებული ქართლურ-მეგრულ-სვანური ეთნოსები არ არსებობენ, მით უმეტეს, ისინი უძველესი კოლხების შთამომავლები, ერთი ეთნოსისა და ენის მქონე ჭეშმარიტი ქართველები არიან.

დარწმუნებული ვარ, გაცილებით მიზანშეწონილია **„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“** შეტანილი ცნობა, ქართველების ვინაობაზე შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

– ამჟამად ქართველები შედგებიან საერთო ეთნოსისა და ენის მქონე ეთნოგრაფიულ-ტერიტორიული ჯგუფებისაგან: ქართლელები, კახელები, ინგილოები, ქიზიყელები, თუშები, ფშაველები, მოხევეები, მთიულები, ხევსურები, მესხები, ჯავახები, მეგრელები, გურულები, იმერლები, აჭარლები, სვანები და რაჭველები.

სწორედ ისინი მოიაზრებიან ზოგადეროვნული ცნების **„ქართველის“** ქვეშ და ყველანი ჭეშმარიტი ქართველები არიან.

– როდესაც ჩამოთვლიან, თუ სად ცხოვრობენ ამჟამად ქართველები საქართველოს გარდა, ირანის პროვინციებთან (გილანი, ფერეიდანი, მაზანდარანი) და ჩრდილო-აღმოსავლეთ თურქეთთან ერთად უნდა დასახელდეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია (დღევანდელი დაღესტნის ტერიტორია), ლაზ-ჭანებმაც უნდა გააცნობიერონ თავიანთი ქართველობა;

– ქართულ სინამდვილეში, საოცრად სრულყოფილ ეროვნულ ქართულ ენასთან ერთად, მეგრული და სვანური ენების არსებობა არავითარ საფუძველს არ იძლევა, რომ ეჭვის ქვეშ დადგეს მეგრელების და სვანების ჭეშმარიტი ქართველობა, მითუმეტეს ისინი ძირძველი ქართველები არიან, ხოლო მეგრული და სვანური ენები უძველესი ქართველური ენებია, რომლებიც წარმოიშვნენ საქართველოს ტერიტორიის სხვადასხვა ეტაპზე.

უფრო მეტიც, რადგანაც იბერიის (ქართლის) სამეფო წარმოიშვა კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს აღმოსავლეთ ნაწილში და იბერებიც (ქართლელები) კოლხების (ეგრების) შთამომავლები არიან, იბერიულ ენას, რომელსაც შემდგომში ეწოდა ქართული ენა, საფუძვლად დაედო კოლხური, იგივე მეგრული ენა, რის გამოც სრულიად კანონზომიერია, მეგრულ ენას ეწოდოს პროტოქართული ანუ ძველი ქართული ენა.

თუ ვაღიარებთ ეთნარქების ინსტიტუტის არსებობას, რადგანაც ქართველები ერთი ეთნოსის ხალხია, ვფიქრობ უფრო გამართლებული იქნება, **„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“** ეთნარქებზე შეტანილ ნარკვევში დაიწეროს, რომ ქართველ ხალხს ჰყავდა ერთი წინაპარი, ეთნარქი, ხოლო რომელი ვაღიაროთ ქართველთა ეთნარქად **„იბეროსი“, „ეგროსი“** თუ **„ქართლოსი“** ალბათ, კომპეტენტური მეცნიერების გადასაწყვეტია.

ყოველ შემთხვევაში, ქართველ მეცნიერებს აქვთ სრული ისტორიული და მეცნიერული საფუძველი, შეუქმნან პარლამენტს დოკუმენტი, რომელიც გამორიცხავს ყოველგვარ გართულებებს, თუ საქართველო მიუერთდება **„ევროსაბჭოს ერობრივ უმცირესობათა კონვენციას“**, მაგრამ ამისათვის აუცილებელია, ქართველმა მეცნიერებმა მყარად გააცნობიერონ, რომ ქართველები ერთი ეთნოსის ხალხია და აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრები, ფაქტობრივად, ერთნი, ყველანი ჭეშმარიტი ქართველები არიან.

რამდენად სწორია ჩემი მოსაზრებები, ეს საზოგადოების გადასაწყვეტია, მაგრამ, ეროვნული პოზიციებიდან გამომდინარე, აუცილებელია, ქართველმა მეცნიერებმა შექმნან საქართველოს სრულყოფილი და ობიექტური ისტორია; მით უმეტეს, მათთვის ეს სირთულეს არ წარმოადგენს.

აფხაზეთი და აფხაზები

აფხაზეთის ტრაგედია საშინელი მოვლენაა საქართველოს ისტორიაში. იგი განსაკუთრებით იმით იყო შემზარავი, რომ ფაქტობრივად, ორივე მხარეს ქართული სისხლი იღვრებოდა და ამას ვერცერთი მხარე ვერ აცნობიერებდა.

არადა, დღევანდელ **“აფხაზ ერში”**, ფაქტობრივად, უძველესი ქართველების (ძირითადად მეგრელების) შთამომავლები არიან და მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით (დაახლოებით 10-12 პროცენტი) ურევია ჩრდილო-კავკასიელები, რომლებიც, ისტორიული გაუგებრობის შედეგად, აფხაზებად იწოდებიან.

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, საქართველოში აფხაზებს ჭეშმარიტ ქართველებად ვერ აღიქვამდნენ, მაშინ როდესაც, აფხაზებს არანაკლები პრეტენზია უნდა ჰქონდეთ ქართველობაზე, ვიდრე ნებისმიერი სხვა ქართული კუთხის მკვიდრებს.

აფხაზეთზე და აფხაზებზე სწორედ ასეთმა არასწორმა წარმოდგენამ შეასრულა ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი აფხაზეთში განვითარებული მოვლენების დროს, რასაც ქართველი სახელმწიფო მოღვაწეებისა და მეცნიერების მიერ დაშვებულ უმძიმეს შეცდომად მივიჩნევ.

დარწმუნებული ვარ, აფხაზეთზე, აფხაზებზე და აფხაზეთში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე პროცესებზე სიმართლის ცოდნას დღესაც არ დაუკარგავს სახელმწიფო მნიშვნელობა.

ბუნებრივია, აფხაზეთის, როგორც საქართველოს რეგიონის ისტორია, საქართველოს ისტორიის ფონზე განიხილება.

ქართველი ხალხი ემზადება ქართული სახელმწიფოებრიობის 3.000 წლისთავის აღსანიშნავად. მეცნიერები ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიის საწყისად აღიარებენ **“კოლხეთის სამეფოს”** ეპოქას (ძვ. წელთაღ. XV-XIV ს.ს.). ეს ის ეპოქაა, როდესაც ბერძნებმა ჩვენს ქვეყანას **“კოლხეთის სამეფო”** და მის მკვიდრებს **“კოლხები”** დაარქვეს.

ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში 20-ზე მეტი წვრილ-წვრილი ტომია დასახლებული: თუბალები, მესხები, ჯავახები, დრილები, კორაქსები, შქვითინები, ჰენიოხები, მისიმიანები, მანრალები და ა.შ. მაგრამ რადგან ბერძნებმა მათ ერთი სახელი – კოლხები შეარქვეს, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ერთნი უნდა ყოფილიყვნენ და ერთ ენაზე ემეტყველათ.

რა იცი შენი მშობლიური კუთხის შესახებ?

გივი ელიავა — არქეოლოგი, მხარის არქეოლოგიური მასალების მკვლევარი

ქართლ-კახეთი ლეგენდაა,
იმერეთი ზღაპარი,
სამეგრელო ოცნებაა –
გაფრენილი ფაფარი,
გურია კი სიმღერაა, ხოლო
რაჭა სიზმარი,
ყველა ერთად ვენახია ჩვენი
დასაფიცარი.

შოთა ნიშნიანიძე

არქეოლოგიამ, რომელიც ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთ დარგს წარმოადგენს, უშორესი დროიდან დღემდე შემოინახა ის უნიკალური ძეგლები, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში.

„არქეოლოგია“ ბერძნული სიტყვაა – **archaios** ძველი და **logos** მოძღვრება. არქეოლოგია ისეთ მეცნიერებათა რიცხვს განეკუთვნება, რომელიც შემონახული ნივთიერი ძეგლების შესწავლისა და აღწერის საფუძველზე, სწავლობს ძველი ხალხების კულტურასა და ყოფა-ცხოვრებას.

არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებას საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. მისი განვითარების საქმეში დიდი ღვაწლი და წვლილი შეიტანეს სახელგანთქმულმა მეცნიერ-არქეოლოგებმა: დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი ნიორაძემ, ანდრია აფაქიძემ, ოთარ ლორთქიფანიძემ, ოთარ ჯაფარიძემ, გურამ გრიგოლიამ და სხვებმა. მათ ახალ თვისობრივ სიმაღლეზე აიყვანეს ქართული არქეოლოგიური მასალების კვლევა, რითაც მათ უკვდავყვეს თავიანთი სახელი საქართველოს ისტორიაში.

საქართველოში გათხრების შედეგად წარმოებულ არქეოლოგიურ მასალათა მოპოვების საფუძველზე, ფართოდ გაიშალა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომელთა საქმიანობა, რომლის სულისჩამდგმელი გახლდათ მუზეუმის დამაარსებელი და თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მისი უცვლელი დირექტორი, ბატონი გივი ელიავა.

არქეოლოგიური მასალების კვლევაძიება და მისი შემდგომი პოპულარიზაცია – აი, კრედო ბატონი გივისა, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის ქართული ისტორიული მეცნიერების წინაშე, როგორც არქეოლოგიური მასალების მკვლევარსა და კოლხური კულტურის მოამაგეს. ბატონმა გივიმ ფასდაუდებელი წვლილი დასდო კოლხური კულტურისა და ისტორიის კვლევას.

ბატონ გივის მიერ გამოვლენილი და შესწავლილი მასალები ნათლად ადასტურებენ, თუ რაოდენ მაღალი კულტურისა და ცივილიზაციის მატარებელნი იყვნენ კოლხები (მეგრელები) თავისი ისტორიის გარიჟრაჟიდან.

ეყრდნობოდა რა ქართული ისტორიული მეცნიერების კორიფეების – აკადემიკოსების ივ. ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას და სხვა მეცნიერთა კვლევის შედეგებს, ბატონმა გივიმ კიდევ უფრო გააღრმავა დიდ მეცნიერთა კვლევის შედეგები კოლხეთის მიწაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალებით.

გივი ელიავამ თანამებრძოლებთან ერთად საფუძველი ჩაუყარა მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. სოფლებში ჩატარდა შეკრება-შეგროვებითი სამუშაოები. 1958 წელს შეგროვდა 1500-ზე მეტი ნივთი და მასალა.

1958 წლის 31 დეკემბრისათვის მუზეუმს ფონდში ჰქონდა 5.000 სხვადასხვა სამუზეუმი ნივთი და მასალა. ამ მასალათა არსებობა საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ 1957 წლის 1 ივლისს მუზეუმი დაარსებულიყო. შეიქმნა მუზეუმის სამეცნიერო საბჭო. დირექტორად გივი ელიავა დაინიშნა, მეცნიერმუშაკებად – დავით გაბისონია, რეზო ინჯია, გივი ფარულავა, ნიკოლოზ კამიშევი, მიხეილ დანელია, როლანდ ადამია, პეტრე კირთაძე, ნაზი ჯვებენავა, ნელი ოდიშარია. მათმა თანადგომამ და ერთგულებამ, განაპირობა კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულების გახსნა წმინდა ამბროსი ხელაიას სამშობლოში.

1960 წლის ივლისში ჩატარდა სამეცნიერო სესია, ქართველ მეცნიერთა მონაწილეობით.

მუზეუმის გახსნის საქმეში აქტიურად მონაწილეობდნენ რაიონის მოწინავე ადამიანები. ისინი აქტიურად შეუდგნენ სამუზეუმო მასალების შეგროვებას და შეკრებას. უსასყიდლოდ გადასცეს მუზეუმს თავიანთ სამუზეუმო მასალები, ნივთები, წერილობითი ძეგლები.

მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელმაც ნახევარსაუკუნოვანი გზა წარმატებით განვლო, დაცულია 50.000-ზე მეტი სხვადასხვა სახის უნიკალური მასალა. არქეოლოგიური მასალების რაოდენობა შეადგენს – 9.653-ს, ფოლკლორული მასალების რაოდენობა – 17.813-ს, ხოლო სამეცნიერო მასალების რაოდენობა – 2.013-ს.

სისტემატურად ეწყობოდა ექსპედიციები ადგილების მიხედვით – მარტვილი-ნოხორდენი, ქაჯის ნამარანუ, ინჩხიის სანაპირო, ალანიას გა, ნანანოროუ, კვირაიას ნასახლარი.

ნახარებაო-დიხაკურზე, ბანძა-ციხის გალავანი, ვედიდკარში-ჭიოკას ჯიხა, მუხურჩაში – ორქა და პეტრეს ნაკარუ, მახათში – ჭიოკას ჯიხა, ნაჭკადური. აბედათში – მარსი, კურკუზა, დიხაგუძუბა. ჯოლევში – დობერა, ციხის მიდამოები. სერგიეთში – ნაფაცაცუ, კოკათი, ბომბოთი. ნახუნაოში – ნამანცხვარუ, ჩაიგაშტყა, გითოწიორილი, ორეკეში. საელიავო – დიხაგუძუბა. ლეხაინდრაოში – გოგიაშ ნაოხვამუ, კოტორი. ინჩხურში – ინჩხურის გამოქვაბული, ინჩხიის სათავე. გაჭედილში – გამოქვაბული. დიდი ჭყონი – დიხა გუძუბა. გურძემში – ძაბური. თამაკონში – ჯიხა. დოშაყე – გამოქვაბული. კურზუ – დობერაზენი, სანაჭყებიო, კიწია-ლეჭეიე. ბალდა – ჩხოროწყუს გამოქვაბული, ქვიბია. სალხინო – წაჩხურუს სათავე, მარაშენას გამოქვაბული. ლებარდე – კალანდიაში კარე, ლეჭეხა, ასხი.

ასევე ეწყობოდა ექსპდიციები მეზობელ რაიონებშიც. აბაშაში – ექსპედიციები მოეწყო შემდეგ ადგილებში. აი, ისინიც: წყემი, სამიქაო, კვაუთი, გულეისკარი, ხორიათი, ტყვირი, კადარი, სეფიეთის სკალა, ზანათი, კოდორე.

სენაკში ჩატარებული ექსპედიცია. შხეფი, თეკლათი, ნაოჩუ, ისულა, ნოქალაქევი – ციხე-გოჯი.

ჩხოროწყუს რაიონი – ლესიჭინე, ოჩხომურის ხეობა.

ხონის რაიონში ჩატარებული ექსპედიციები – სოფ. ხიდი, გორდი – დადიანების სასახლე, რიონის ჭალა, ქვიტირი, გორდი – კინჩხა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ადგილებისა, ექსპედიციები ეწყობოდა ნამიკოლაოში, ნალეფსაოში, ნაგვაზაოში, ქვაითში, ონოღიასა და სხვა ადგილებში.

კოლხეთის მიწაზე არქოლოგიური გათხრების მასალები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ კოლხეთი უძველესი დროიდან მსოფლიოში აღიარებულ ქვეყნად ითვლებოდა.

აკადემიკოსებს – ივ. ჯავახიშვილს, ნ. ბერძენიშვილს და ს. ჯანაშიას თუკი დავესესხებით, ძველი კოლხეთი განთქმული ყოფილა სამშენებლო ხელოვნებით, მიწათმოქმედებით, მედიცინით, განათლებით, კულტურით, ოქროთი და მისი წარმოებით. ეტყობა, მაშინ იდეოგრამული დამწერლობა მაღალ დონეზე იდგა. თქმულება არგონავტების შესახებ კი **„ჩვენი ქვეყნის ნამდვილი ცხოვრებისა და ბუნების ანარეკლზეა აშენებული“.**

მეცნიერებაში დომინირებს აზრი იმის შესახებ, რომ კარტოგრაფია, როგორც მეცნიერება გეოგრაფიული რუკების შედგენის შესახებ, კოლხებისათვის ცნობილი იყო. (გერმანულად – **karte** რუკა და ბერძნულად **grapho** – ვწერ).

სამართლიანად შენიშნავს ცნობილი მეცნიერი კ. რიტერი, რომ კოლხები ბერძნებზე ადრე იცნობდნენ კარტოგრაფიულ ხელოვნებას. ასე, რომ კოლხები თვით ადგენდნენ რუკებს.

პროფ. აკაკი ურუშაძე აღნიშნავს, რომ **„ბერძნები კოლხეთში გაეცნენ ფოლადის გუთანს“,** ხოლო კირკემ და მედეამ ჯადოსნური მალამოებითა და მკურნალობის სხვა საშუალებებით მოხიბლეს ბერძნები.

გამოჩენილ მეცნიერთა ვარაუდით, მეორე ათასწლეულის დასასრულისათვის კოლხეთი, როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნად სჩანს.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ბატონ გ. ელიავას აზრით, კოლხეთი რომ ეკონომიკურად და კულტურულად ძლიერ დაწინაურებულ ქვეყნად სჩანს, ყოველივე ამას ადასტურებს კოლხეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული და აღმოჩენილი უამრავი მასალა. მათ შორის ბატონ გივის მოსაზრებით უაღრესად საინტერესო და ორიგინალურია **„პეტრეს ნაკარუს“**, მარტვილის რაიონის სოფელ მუხურჩაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალები. ეს მასალები კი განეკუთვნება გვიანი ბრინჯაოს – ადრე რკინის ხანას. იქ გათხრილ იქნა ხუთი სამარხი. თავისი არსითა და მნიშვნელობით, უნდა გამოვყოთ მქადაგებელი, როგორც ბატონი გივი უწოდებდა, აკად. ოთარ ლორთქიფანიძის მოსაზრებით, ის მქადაგებელი კი არა, მეეტლეა.

ბატონ გივისა და მისი ექსპედიციის მიერ მოპოვებული ეს მასალები, რომელიც საგამოფენო დარბაზს ამშვენებს, მართლაც რომ წარმტაცია თავისი მნიშვნელობით. ამ მასალების დიდ პოპულარობასა და მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ბატონმა გ. ელიავამ ამ აღმოჩენას უძღვნა მონოგრაფიული გამოკვლევა – **„პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა“,** რომელმაც გამოჩენილ მეცნიერ-მკვლევართა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ვფიქრობთ, დაინტერესებული პირები გაეცნობიან როგორც ამ მცირე ხასიათის ნაშრომს, ასევე იმ მასალებსაც, რომლებიც ფერადი ფოტოების სახით იქნება წარმოდგენილი.

არ დარჩენილა ისტორიული მეცნიერების არცერთი დარგი, რომლის კვლევაძიება ბატონ გივის თვალსაწიერში რომ არ ყოფილიყო. უპირველესად გვინდა გამოვყოთ ბატონ გივის მიერ საფუძვლიანად შესწავლილი საკითხი, რომელიც ეხება **„ადამიანთა ცივილიზაციის განვითარების ეტაპებს ქვის ხელცულის სრულყოფის მაგალითზე“.** ამ ნაწარმოებში განხილულია ის მასალები, რომელიც მუზეუმში არის წარმოდგენილი.

როგორც წინამდებარე ნაშრომის ავტორი აღნიშნავს, ადამიანთა ცივილიზაციის განვითარების ეტაპებზე თვალის მიდევნება შესაძლებელია ქვის ხელცულის განვითარების პროცესის მიხედვით, თითქმის მილიონ ნახევრიდან, ვიდრე მეოთხე ათასწლეულის დასასრულამდე, ეოლითიდან ვიდრე ბრინჯაოს ეპოქამდე. პალეოლითის ეპოქაში, შედარებით მკვეთრად დაიწყო ცდა ხელცულის – ყველაზე საჭირო საჭრეთლის პრიმიტიული გაკეთებისა. მე-19 საუკუნის შუა წლებში არქეოლოგმა მორტილიემ შეისწავლა ეოლითიდან მოყოლებული, პალეოლითით – შელისა და აშელის კულტურა.

გ. ელიავა, როგორც არქეოლოგი, თვალსაჩინო მასალების საფუძველზე იკვლევდა საქართველოს ისტორიას, მათ შორის კოლხეთის ისტორიულ წარსულს. დიხაგუძუბებზე, გორაკებზე, ჯიხებზე ნაპოვნი მასალები, ბანძის (ტურაკელის) მასალები, აბედათის, ჯოლევის, თამაკონის, სალხინოს, კურზუს, სენაკის, ისულას, აბაშის, ფოფონას, ზანათის, ჩხოროწყუს, ჭოღის, ოსინდალეს, თაიას, კირცხის და ა. შ. მიდამოებში ნაპოვნი არქეოლოგიური ძეგლები და მასალები სრულყოფილ წარმოდგენას იძლევა ისტორიის ცალკეულ ეტაპებზე – ეოლითიდან ვიდრე შუა საუკუნემდე. ისინი დაცულია ფონდებში, აღწერილია ბატონ გივის მიერ და გამოქვეყნებულია შრომების სახით.

ამრიგად, აღსანიშნავია ბატონ გივისა და მუზეუმის თანამშრომელთა მიერ გაწეული მუშაობა არქეოლოგიის დარგში, რაც არაერთხელ შეუფასებიათ, ისეთ თვალსაჩინო მეცნიერებს, როგორიც გახლავან აკადემიკოსები ნიკო ბერძენიშვილი, სერგი ჯიქია, შოთა მესხია, პარმენ ზაქარაია, პროფ. ვარლამ დონდუა და სხვები.

პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიურმა მასალებმა, რომლებიც პროფ. ელგუჯა გოგაძის აზრით, გვიანი ბრინჯაოს დასაწყისი ხანის მასალათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს, საყოველთაო ყურადღება მიიპყრო, ეს პერიოდი მოიცავს არაუგვიანეს მე-9 საუკუნეს ჩვენს ერამდე. ამ მასალებს დიდი მეცნიერული ღირებულება და მნიშვნელობა აქვთ.

ამ მასალათაგან პროფ. ე. გოგაძე განსაკუთრებით გამოჰყოფს ბრინჯაოს ქანდაკებებს, აგრეთვე გიშერისა და სარდიონის ქვის მძივთა მხატვრულ მორთულობას.

პროფ. ე. გოგაძემ, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მიერ ჩატარებულ მე-19 გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე, წარმოადგინა მოხსენება თემაზე – **„პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიური მასალა“**, რომელშიც ხაზგასმით არის განხილული ექსპედიციის მიერ მოპოვებულთან ერთად მარტვილის მუზეუმის მუშაკთა მიერ დაზვერვითი მუშაობისას აღებული მასალებიც.

პეტრეს ნაკარუს არქეოლოგიურ მასალათაგან, მქადაგებელმა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ჟურნალ **„არქეოლოგიაში“** არის დაბეჭდილი, განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო რედაქტორის ასისტენტის კრისტიან რომეისა.

პროფ. ო. ლორთქიფანიძე მიიჩნევს, რომ ეს უნიკალური მასალა ბრინჯაოს მეეტლე – შესაძლოა იყოს ყველაზე ადრეული ბერძნული იმპორტი. ეს ფიგურა თარიღდება მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის და მე-7 საუკუნის პირველი ნახევრის პერიოდით, რომელიც აღმოაჩინეს 1975 წელს. ეს ფიგურა აღმოჩენილია როგორც კოლხეთში, ასევე ვანსა და ოლიმპოში.

ამბროს ფაილოძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქეთის პირისპირ ევროპის იმედით

პირველი მსოფლიო ომის დასასრული რუსეთის იმპერიის დაშლით აღინიშნა. საქართველო კვლავ თავისი ისტორიული დამპყრობლის – თურქეთის პირისპირ აღმოჩნდა. ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება კი მისი აღსასრულის დასაწყისს წარმოადგენდა. გერმანელების მიერ დასუსტებულ და სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეული რუსეთისთვის კაბალური ხელშეკრულების თავსმოხვევა ძნელი საქმე ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ ბრესტ-ლიტოვსკში აშკარად გამოჩნდა თურქეთის ინტერესიც – მიეტაცებინა საქართველო და ამიერკავკასიის ნაწილი.

მართლაც, 1918 წლის 8-9 აპრილს თურქები საქართველოში შემოიჭრნენ. 21 აპრილს კი მათ დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი და მთელი მესხეთი.

ასევ ვითარებაში ქართულ პოლიტიკურ წრეებში მომწიფდა აზრი, რომ შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რათა „გამოცხადებულიყო ამიერკავკასიის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა“. მაგრამ ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის დღიდან გადაუჭრელ პრობლემად იქცა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. გერმანოფილური საქართველოს, ანგლოფილური სომხეთისა და თურქოფილური აზერბაიჯანის ერთ სამოკავშირეო სახელმწიფოში არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რაც იმთავითვე ცხადი გახდა. გარდა საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციისა, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს სიმტკიცეს დიდად ვნებდა ტერიტორიის გამიჯვნის საკითხი – ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს მწვავე სასაზღვრო დავა ჰქონდათ. ქართველ დიპლომატებს იმედი ჰქონდათ, რომ გერმანელები პრინციპულად დადგებოდნენ ქართული ინტერესების დასაცავად, მაგრამ როდესაც ამიერკავკასიაში გამარჯვებულმა ინგლისმა შემოდგა ფეხი, აშკარა გახდა, რომ ამ სახელმწიფოს მთავარ სამიზნეს ბაქოს ნავთობი უფრო წარმოადგენდა, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა.

ინგლისის მოქმედების ზონად (ფაქტობრივად, საოკუპაციო ზონად) გამოცხადებამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველო. იმთავითვე ცხადი გახდა, რომ ბათუმითა და საერთოდ, მთელი აჭარით ინგლისელები განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებულნი. აღსანიშნავია ისიც, რომ 1918 წლის დეკემბერში მიმდინარე საქართველო-სომხეთის ომში, სომხეთის არმიის სერიოზული მარცხის შემდეგ, საქართველოს მთავრობას შეეძლო, შემოეერთებინა ისტორიული ქართული ტერიტორია – ლორეს რაიონი. ინგლისელი დიპლომატები და სამხედროები კი ანგლოფილური სომხეთის მხარეს დადგნენ და ეს შესაძლებლობა გამოუყენებელი დარჩა. ფრანგებმა და ინგლისელებმა აიძულეს საქართველოს მთავრობა, დაუყოვნებლივ შეეწყვიტა საომარი მოქმედებანი სომხეთის წინააღმდეგ. საქართველო-სომხეთის ურთიერთობის მოგვარებაში ინგლისის ანტიქართული პოლიტიკის წყალობით განპირობებულმა შედეგებმა დიდი პრობლემები შეუქმნა ქართველ დიპლომატებს პარიზის კონფერენციაზე ერთა ლიგასა და საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში.

ვფიქრობ, ეს ერთი ეპიზოდიც საკმარისია, რათა ნათლად წარმოვიდგინოთ ქართული დიპლომატიის „დამოუკიდებელი“ მოქმედების მიმართულება, რომელიც აშკარად გარედან თავსმოხვეულ ინტერესთა სამსახურში მდგომარეობდა და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ მისწრაფებათა საბედისწერო იგნორირების სარჯზე ვითარდებოდა.

(ამონარიდები “ქართული დიპლომატიის ისტორიიდან”)

... თურქეთი მაშინვე შეუდგა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მინიჭებული უფლებების რეალიზებას – მოითხოვა ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების დაცლა. 1918 წლის 10 მარტს თურქეთმა მოთხოვნა კვლავ გაიმეორა. 11 მარტს ამიერკავკასიის სეიმმა ეს მოთხოვნა უარყო. ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმს კარგად ესმოდათ, რომ ომი თურქეთთან ადვილი არ იყო, ამიტომ დიპლომატიური გზით სცადეს კონფლიქტის მოგვარება. 1918 წლის 14 მარტს ტრაპიზონში დაიწყო ამიერკავკასია-თურქეთის საზავო მოლაპარაკება. ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა. მის ცდებს, ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქები მთლიანად შეენარჩუნებინათ, შედეგი არ მოჰყოლია – თურქეთის დელეგაცია კატეგორიულად მოითხოვდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების შესრულებას.

თურქეთის არმიამ საომარი მოქმედებები დაიწყო: 1918 წლის 8-9 აპრილს მტერი ამიერკავკასიის საზღვრებში შემოიჭრა. შეიქმნა კრიზისული სიტუაცია. 12 აპრილს აკაკი ჩხენკელმა ევგენი გეგეჭკორს სთხოვა თურქეთის წინააღმდეგ საომარი ოპერაციების შეჩერება. 13 აპრილს ამიერკავკასიის კომისარიატისა და ამიერკავკასიის სეიმის ფრაქციათა გაერთიანებულმა სხდომამ ერთხმად მიიღო ირაკლი წერეთლის რეზოლუცია ტრაპიზონიდან ამიერკავკასიის დელეგაციის გამოწვევის შესახებ. ეს იმას ნიშნავდა, რომ თურქეთთან ომი გრძელდებოდა. 9 აპრილს გამოუცხადებლად დაწყებული ომი 13 აპრილს ოფიციალური გახდა. თურქეთის არმიის შემაჩერებელი ძალა საქართველოს არ გააჩნდა. 15-21 აპრილს თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი, მთელი მესხეთი თითქმის ბორჯომამდე. თურქეთის შეჩერება ქართულმა ჯარმა მხოლოდ მდინარე ჩოლოქზე შეძლო.

ასეთ მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში 1918 წლის 22 აპრილს შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. სხდომა გახსნა კარლო ჩხეიძემ, ამიერკავკასიის კომისარიატსა და სეიმში უკვე მომწიფებული იყო აზრი ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო დადგენილება: **„გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად“.**

ამიერკავკასიის სეიმმა ამავე სხდომაზე მოისმინა ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკებებზე მივლინებული დელეგაციის მოხსენება და მიიღო დადგენილება მოლაპარაკების გაგრძელების შესახებ.

სეიმის დადგენილებით, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის შექმნა დაევალა აკაკი ჩხენკელს. 1918 წლის 26 აპრილს მან სეიმს დასამტკიცებლად წარუდგინა მთავრობის შემადგენლობა. სეიმმა უცვლელად დაამტკიცა აკაკი ჩხენკელის მიერ წარდგენილი პროექტი. **ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ასეთი შემადგენლობით შეუდგა მუშაობას: ა. ჩხენკელი – მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი; ნ. რამიშვილი – შინაგან საქმეთა მინისტრი; ა. ხატისოვი – ფინანსთა მინისტრი; ხ-ბ. მელიქ-ასლანოვი – გზათა მინისტრი; ფ-ხ. ხოისკი – იუსტიციის მინისტრი; გრ. გიორგაძე – სამხედრო მინისტრი; ნ. ხომერიკი – მიწათმოქმედების მინისტრი; ნ.-ბ. უსუბეკოვი – სახალხო განათლების მინისტრი; მ. გაჯინსკი – ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი; ა. საკიანი – სასურსათო საქმეთა მინისტრი; რ. კაჩაზნუნი – სახელმწიფო უზრუნველყოფის მინისტრი; ა. ერზინკიანი – შრომის მინისტრი; ი-ბ. ჰაიდაროვი – სახელმწიფო კონტროლიორი.**

ამიერკავკასიის დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკას შექმნის დღიდან გადაუჭრელ პრობლემად ექცა საგარეოპოლიტიკური ორიენტაცია. **გერმანოფილური საქართველოს, ანგლოფილური სომხეთისა და თურქოფილური აზერბაიჯანის ერთ სამოკავშირეო სახელმწიფოში არსებობა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რაც იმთავითვე ცხადი გახდა. გარდა საგარეოპოლიტიკური ორიენტაციისა, ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს სიმტკიცეს დიდად ვნებდა ტერიტორიის გამიჯვნის საკითხი – ქართველებს, სომხებსა და აზერბაიჯანელებს ერთმანეთთან მწვავე სასაზღვრო დავა ჰქონდათ.**

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სულ უფრო კატასტროფული ხდებოდა. 1918 წლის 11 მაისს ბათუმში განახლდა ამიერკავკასია-თურქეთის საზავო კონფერენცია. ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი მეთაურობდა.

პირველსავე შეხვედრაზე გაირკვა, რომ თურქეთი პოზიციას არ ცვლიდა, პირიქით, უფრო მეტს მოითხოვდა. 1918 წლის 12 მაისს ბათუმიდან გამოგზავნილ საიდუმლო წერილში აკაკი ჩხენკელი საქართველოს ეროვნულ საბჭოს აცნობებდა: 1) თურქეთი ითხოვს ახალციხეს, ახალქალაქს და ერევნის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრას; 2) თურქეთი თავის თავზე იღებს წესრიგის დაცვას ამიერკავკასიაში; 3) თურქეთი, ომის შემთხვევაში, ითხოვს ამიერკავკასიის რკინიგზით სარგებლობის უფლებას.

ამავე წერილში აკაკი ჩხენკელი იმედს გამოთქვამდა, რომ გერმანია მხარს დაუჭერდა ამიერკავკასიის დელეგაციას, თუმცა გამორიცხული არ იყო საწინააღმდეგოც. წერილში ვკითხულობთ: **„ვთქვათ, ეს გეგმა არ გავიდა, გერმანელებმა არ დაგვიჭირეს ისე ძლიერ მხარი, რა ვქნათ? თათრებმა გასწირეს სომხები, აზერბაიჯანი ცალკე წავა, შეიძლება ოსმალეთზე გადავიდეს. ეს მოხდება მაშინვე, როგორც კი ომი გამოცხადდება ამიერკავკასიის სახელით. რა უნდა ქნას ქართველმა ერმა? ერთადერთი გზაა: ომში არ გაერიო. ომი ყელს გამოჭრის ერს, მოსპობას უქადის“.**

იმავე დღეს, 12 მაისს, აკაკი ჩხენკელი მეორე საიდუმლო წერილს გზავნის ბათუმიდან, რომელშიც მთელი კატეგორიულობით აფრთხილებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს: **„ყოველ შემთხვევაში, თუ გინდ ვერაფერსაც ვერ მივაღწიოთ, რაც მოასწავებს გერმანელებისაგან ჩვენს გაწირვას, ჩვენ არასგზით არ უნდა ვაწარმოოთ ომი. მხოლოდ და მარტო ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვიხსნათ ჩვენი ხალხი დაღუპვისაგან. გაერთიანებული ამიერკავკასია, სულერთია, ვერ იარსებებს, თუ სომხების ტერიტორია ჩამოგლიჯეს მას“.**

აკაკი ჩხენკელის ორი წერილი საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ფაქტობრივად, სთავაზობდა გერმანოფილურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს, როგორც ერთადერთ რეალურ გამოსავალს შექმნილი კატასტროფული სიტუაციიდან. **ამავე დროს, ისიც ცნობილი იყო, რომ თურქოფილური აზერბაიჯანი და ანგლოფილური სომხეთი გერმანიაზე ორიენტირებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსზე უარს იტყოდნენ.**

ბათუმიდან აკაკი ჩხენკელის ორი წერილის მიღების შემდეგ, 1918 წლის 14 მაისს, საღამოს, შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც ოფიციალურად დაადასტურა გერმანიის ფაქტორზე დაფუძნებული საგარეო-პოლიტიკური კურსი. აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, რომ ბათუმში აკაკი ჩხენკელისათვის სახელმძღვანელოდ გაეგზავნათ შემდეგი მითითებები:

„1. ეცნობოს გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეს, გენერალ ფონ ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნული საბჭოს სურვილი და თხოვნაა, ყოველნაირად ხელი შეუწყოს გერმანია-საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი საკითხების რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადაწყვეტას;

2. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, მიიღოს სათანადო ღონისძიება, რომ გერმანიის ჯარმა განაგრძოს სვლა ჩრდილო კავკასიაში, რათა იმდენად დაუახლოვდეს საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი იყოს მასთან კონტაქტის დაჭერა და საქართველო უზრუნველყოფილი იქნას გარედან მოსალოდნელი რაიმე საფრთხისაგან;

3. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფი ქართველი სამხედრო ტყვეების, სამშობლოში რაც შეიძლება მალე სამხედრო წესით დარაზმულად დაბრუნებას;

4. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ვიდრე ეს საქმე მოხერხდებოდეს, დატოვოს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეები და მიანდოს გერმანიის ოფიცერთ მათი სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობამ შეძლოს, საჭირო შემთხვევაში შემოიყვანოს ეს ჯარი შინაური წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად“.

აკაკი ჩხენკელი გერმანიის დახმარებით **“საქართველოს ხსნის გეგმის”** რეალიზებას შეუდგა. 1918 წლის 15 მაისს ბათუმიდან გამოგზავნილ საიდუმლო წერილში იგი არწმუნებდა საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს გადარჩენა შეუძლებელი იყო. აკაკი ჩხენკელი იმასაც იტყობინებოდა, რომ ინგლისის დახმარებით თურქეთის შეჩერება არარეალური იქნებოდა. 15 მაისის წერილში აკაკი ჩხენკელმა კატასტროფიდან თავის დაღწევის ერთადერთ გზად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება დასახა: **„საქართველოს დამოუკიდებლობა – აი, პირველი ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას, როცა აქაური (ბათუმის) მოლაპარაკება შეწყდება. შეწყდება იმიტომ, რომ თურქების პროექტი მიუღებელია. ეს მათ მშვენივრად იციან, მაგრამ მიზნად ხომ ჩვენი მთლიანობის დამხობა აქვთ“.**

საქართველო-გერმანიის დაახლოებას რეალური საფუძველი ჰქონდა. გერმანიისათვის კი საქართველო მისი აღმოსავლური პოლიტიკის ფორ-პოსტი იქნებოდა. **საქართველოს მნიშვნელობას გერმანიისათვის ისიც ზრდიდა, რომ ინგლისზე ორიენტირებული სომხეთი და თურქეთზე ორიენტირებული აზერბაიჯანი ეწინააღმდეგებოდნენ გერმანიის დამკვიდრებას ამიერკავკასიაში. გერმანიას სუსტი პოზიციები ჰქონდა აღმოსავლეთში და ამ რეგიონში წარმატების მოპოვება გარკვეულწილად გაუადვილებდა საქართველოში მტკიცე პოზიციების შექმნას.**

თემურ ქორიძე,
არასამთავრობო ორგანიზაცია “ისტორიული მემკვიდრეობის” საზოგადოებრივი საბჭოს თავმჯდომარე

გლობალიზაცია – XX საუკუნის უდიდესი აფიორა

ლინდონ ლარუში – ამერიკის უმსხვილესი ეკონომისტი, ცნობილი პოლიტიკოსი, ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ბრძოლა გამოუცხადა ფინანსურ ოლიგარქიასა და მის ძირითად ინსტიტუტებს – მსოფლიო ბანკსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდს. მას ფინანსურ-ეკონომიკური პროგნოზების სფეროში ვერავინ შეედრება. მან იწინასწარმეტყველა რუსეთის 1998 წლის დეფოლტი, ერთი წლის წინათ კი მოსკოვში, სახელმწიფო დუმაში გამოსვლისას – მსოფლიო საფონდო ბაზრების ნგრევა. ახლა, როდესაც სულ უფრო და უფრო ხმამაღლა ისმის საუბარი გარდაუვალ „გლობალიზაციაზე“, ალბათ, უპრიანი იქნება, ამ ადამიანის აზრი გავიგოთ.

– იმ დროს, როდესაც თქვენ უკვე მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის პოლიტიკის წინააღმდეგი იყავით, ჩვენი მოქალაქეების უმეტესობამ ამ ორგანიზაციების არსებობის შესახებაც კი არაფერი იცოდა. რაში მდგომრეობდა თქვენი ბრძოლის არსი?

– 60-იან წლებშივე მადარდებდა **„მსოფლიო ეკონომიკური განვითარება“** და მთელი ჩემი მოღვაწეობა გამიზნული იყო ქვეყნების დასათანხმებლად, უარი ეთქვათ მილტონ ფრიდმანის დამანგრეველ კურსზე. მას ცალსახად ფაშისტური ეკონომიკური ხედვა აქვს. მილტონ ფრიდმანის რეცეპტის მიხედვით, ეკონომიკური პოლიტიკა დიქტატურის გარეშე დიდხანს ვერ ძლებს.

70-იან წლებში სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა, რადგან საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა **„გლობალიზაციად“** და **„თავისუფალ ვაჭრობად“** წოდებულ ფეოდალიზმში დაბრუნება გადაწყვიტა. განსაკუთრებული ძალით ეს ყველაფერი 1989-1999 წლებში – გერმანიის გაერთიანებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ – ამოქმედდა. მარგარეტ ტეტჩერმა, ფრანსუა მიტერანმა და ჯორჯ ბუშ-უფროსმა მსოფლიოს ახალი რომის იმპერიის – ლონდონსა და ნიუ იორკიდან მართული მსოფლიო სახელმწიფოს იდეა მოახვიეს თავს. ვინაიდან მსოფლიოში გლობალიზაციის რეალური წინააღმდეგობა აღარ არსებობდა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკიც უკვე აღარ მალავდნენ თავიანთ ფაშისტურ არსს. დაიწყეს გენოციდის მსოფლიო პოლიტიკის გატარება – სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის გაწყვეტა ლოკალური ომების ორგანიზებით, შიმშილით, **„ოჯახის დაგეგმვის“** ლოზუნგქვეშ შობადობის შემცირებით.

ახალი უტოპიის იდეოლოგთა ამოცანაა ერთიანი სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც ერთი ცენტრიდან ბანკირები მართავენ და ისინი საკუთარი სურვილისამებრ გადაწყვეტენ, ვინ – მოკვდეს და ვინ – იცოცხლოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოლიგარქებს მსოფლიო ძალაუფლების მთლიანად ხელში ჩაგდება სურთ.

– საიდან გაჩნდა ახალი უტოპიის იდეა?

– მთავარი იდეოლოგები ჰერბერტ უელსი და ბერტრან რასელი იყვნენ. პროექტი ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ჩაისახა. თავის დროზე რასელმა და უელსმა შეიმუშავეს ის პრინციპები, რომლებიც შემდეგ თანამედროვე ბირთვულ პოლიტიკად გარდაიქმნა. *ისინი მივიდნენ ბირთვული იარაღის შექმნის თეორიულ დასკვნამდეც და 1913 წელს უელსმა წამოაყენა ბირთვული პოლიტიკის გატარების იდეა განცხადებით, რომ ეს საშინელი იარაღი აიძულებდა ერებს, უარი ეთქვათ დამოუკიდებლობაზე და ძალაუფლება მსოფლიო ხელისუფლებისათვის გადაეცათ.* აშშ და ინგლისმა სწორედ მათი რეცეპტის მიხედვით დაიწყეს ბირთვული პოლიტიკის გატარება, ოდნავ მოგვიანებით კი, ვერ ვიტყვით, რომ უინსტონ ჩერჩილის დაუხმარებლად ატომური ბომბები ხიროსიმასა და ნაგასაკში ჩამოიყარა. ეს ერთადერთი მიზნით – მსოფლიოს ხალხთა დასაშინებლად გაკეთდა. ომი ისედაც დასასრულს უახლოვდებოდა და დაბომბვის სამხედრო აუცილებლობა ნამდვილად არ არსებობდა.

მაშინაც და მოგვიანებითაც რასელი ამერიკისა და ინგლისისაგან მოითხოვდა, საბჭოთა კავშირის პრევენციული დაბომბვისათვის მომზადებულიყვნენ, რადგან სტალინი შეეწინააღმდეგა გაეროს მსოფლიო მმართველობად გარდაქმნის იდეას, რის შედეგადაც სუვენერული სახელმწიფოები განადგურდებოდნენ. ამის შემდეგ საბჭოთა კავშირთან მალევე წამოწყებული „ცივი ომი“ სწორედ რასელის გეგმის რეალიზებას ემსახურებოდა. იმავე გეგმის მიხედვით უნდა შექმნილიყო ბირთვული იარაღი, რომელიც მსოფლიო მმართველობამდე გაჭრიდა გზას.

სინამდვილეში პოლიტიკური თამაშის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ამერიკის პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის გარდაცვალების შემდეგ ბრიტანული იმპერია და მისი მოკავშირეები, ეგრეთ წოდებული ბრიტანულ-ამერიკულ-კანადური ასოციაციის (ბაკ) წევრები, შეეცადნენ კვლავ დაპატრონებოდნენ თავიანთ ყოფილ კოლონიას.

ამის მისაღწევად აშშ და სსრკ ერთმანეთს მიუქსიეს. ბაკი სავსებით სამართლიანად თვლიდა, რომ შეიარაღების შეჯიბრში ქვეყნები ჯერ დასუსტდებოდნენ, შემდეგ კი სულაც დაიმსხვრეოდნენ. ასე განთავისუფლდებოდა გზა მსოფლიო ხელისუფლებისათვის, რომელშიც მთავარ როლს ბაკს შეფარებული ბრიტანული მონარქია შეასრულებდა.

უელსისა და რასელის კურსს აქტიურად უჭერდნენ მხარს ჰენრი კისინჯერი და ზბიგნევ ბჟეზინსკი. ახლა მას ჯიუტად ახორციელებს ალბერტ გორი.

– კი, მაგრამ ხიშტებზე დიდხანს იმპერია ვერ იარსებებს. იდეოლოგიაა აუცილებელი...

– დიახ, რა თქმა უნდა, მენტალიტეტის შეცვლა იყო საჭირო. ვიდრე ხალხი თვლის, რომ ერის კეთილდღეობა ფიზიკური ეკონომიკისა თუ წარმოების განვითარებაზე, მეცნიერებასა თუ ტექნოლოგიურ პროგრესში კაპიტალდაბანდებაზეა დამოკიდებული და არა ფინანსურ კაპიტალზე, ის გააფთრებით დაიცავს თავის სუვერენიტეტსა და ხელისუფლების ეროვნულ ინსტიტუტებს. ჩვენს დროში ასე იქცევა მალაიზია, რომელიც აზიური ვეფხვივით თავგამოდებით იბრძვის თავისი ნაშიერის სოროსისა და გორის მსგავსი მტაცებლებისაგან გადასარჩენად. მენტალიტეტის შესაცვლელად მსოფლიო ხელისუფლების მომხრეებმა **„კულტურული პარადიგმის ძვრების“** ახალი პოლიტიკა შეიმუშავეს. ამისათვის კი მასებში **„ახალი საუკუნის“** ანტიქრისტიანული იდეოლოგია **„New Age“** გავრცელდა.

მთავარ ფიგურებს შორის შეიძლება დასახელდნენ მადამ ბლავატსკაია და საყოველთაოდ ცნობილი სატანისტი ალისტერ კროული. ჰიტლერის ფაშიზმი, ეგრეთ წოდებული კონსერვატიული რევოლუცია – ესეც **„New Age“**-ს ნაყოფია. **„მსოფლიო რელიგიის“** პროექტი, რომელსაც ინგლისის სამეფო სახლის წევრი და ალბერტ გორის თანამოაზრე, ედინბურგის ჰერცოგი ავითარებს, თავისი არსით იმავე თეოსოფიური მოძრაობის გაგრძელებაა. **„New Age“**-ი მასობრივ ცნობიერებაში ნერგავს წარმოდგენას ადამიანზე, როგორც გარყვნილ ცხოველზე. სწორედ ამიტომ გაუშვეს მასებში ეგრეთ წოდებული როკის, სექსისა და ნარკოტიკების კულტურა. სწორედ ამიტომ რომის იმპერიის მაგალითით შთაგონებულმა ახალი უტოპიის მომხრეებმა ოკულტიზმის, ნარკომანიის, ჰომოსექსუალიზმის... მხარდაჭერა და პროპაგანდა დაიწყეს.

– მაგრამ რატომ არიან საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო მმართველობის სხვა სტრუქტურები ასე შეშფოთებულნი პლანეტაზე „ზედმეტი ხალხის“ მომრავლებით?

– ოლიგარქები მიჩვეულნი არიან, ხალხს უტვინო საქონელივით მოექცნენ. მაგრამ XX საუკუნეში ამ **„საქონელმა“**, ერთი მხრივ, რიგიანი განათლება მიიღო, მეორე მხრივ კი, თანამედროვე მედიცინის მიღწევების წყალობით, საგრძნობლად გამრავლდა. შედეგად, ოლიგარქების ხელისუფლებას საფრთხე შეექმნა. სწორედ ამის გამო ინერგება დაბალსინჯიანი მასობრივი კულტურა, მთელს მსოფლიოში მცირდება განათლების ნიხრი და ტარდება შობადობის შეზღუდვის პოლიტიკა. 1966 წელს ამერიკაში იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ სახელმწიფოებს, რომელთა მოსახლეობაც მატულობს, ეკონომიკური დახმარება არ უნდა გაეწიოთ. ამ შემთხვევაში აღნიშნული ქვეყნებიდან ბუნებრივი სიმდიდრის ამოქაჩვა გაძნელდება: ადგილობრივი ახალგაზრდობა შესაძლოა აჯანყდეს რესურსების არასამართლიანი გაზიდვის გამო. და 1974 წელს გაჩნდა **„აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების მემორანდუმი“**. სხვა ქვეყნებისათვის დახმარების გაწევის მთელი ამერიკული პოლიტიკა ოჯახის დაგეგმვის პროგრამებს მიება. ასეც რჩება დღემდე.

– რა ელის მსოფლიოს ახლო მომავალში?

– მსოფლიო ისტორიაში უდიდესი ფინანსური კრიზისი დაიწყო. სიტუაციის კონტროლის არანაირ მცდელობას ადგილი არ ჰქონია, ამიტომ, საკმაოდ სწრაფად დადგება ფინანსური კოლაფსის მომენტი და სიტუაცია უმართავი გახდება. აშშ დოლარი მალე, შესაძლოა, ძალიან გაუფასურდეს. ნახეთ, რა მოჰყვება ამას. უკანასკნელი წლების მანძილზე აშშ ფინანსურ დახმარებას რუსეთიდან, იაპონიიდან, აზიისა და ევროპის სხვა ქვეყნებიდან იღებდა. ფინანსური კოლაფსის შემთხვევაში ეს აღარ მოხდება. ჩვენ ისტორიის შემობრუნების მომენტთან ვდგავართ და, თუ ახალი ფინანსური სისტემის შექმნას არ ვიჩქარებთ, ქაოსი დაიწყება. თანამედროვე ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ხომ აუცილებელია პოლიტიკური სტრუქტურა, რომელიც კრედიტებისა და ინვესტიციების გაცემას გააკონტროლებს. უამისოდ თანამედროვე ვაჭრობის ორგანიზება შეუძლებელია. ჩვენ ნატურალური მეურნეობის ეპოქაში არ ვართ. ფინანსური გადარჩენისათვის ვაჭრობაა აუცილებელი, სხვაგვარად ყველაფერი პარალიზდება. რუსეთს იგივე პრობლემები აქვს, მაგრამ არც ევროპაში ხდება რაიმე უკეთესი. გერმანია გაკოტრდა! ევროპა გაკოტრდა. ევროპელები მეტწილად გერმანიის ხარჯზე ცხოვრობდნენ, გერმანიის, რომელსაც წარმოებული პროდუქტის 40% დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში გაჰქონდა. გერმანიის ეკონომიკური აყვავების გარეშე ევროპა ცხოვრების ნორმალურ დონეს ვერ შეინარჩუნებს, ყველაფერი დაინგრევა. რა ხდება სამხრეთ ამერიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში? ჩვენ ცივილიზაციის კოლაფსის ზღურბლზე ვდგავართ.

– რა ვქნათ? შეიძლება რამის გაკეთება?

– რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, კატასტროფაში დადებითი მომენტებიც არის, ვინაიდან ის საბოლოოდ ახდენს ტვინებში გამეფებული მანკიერი იდეების დისკრედიტირებას და ჯანსაღ აზრს უხსნის გზას. ადამიანები მხარს დაუჭერენ ამ ახალ იდეებს, ვინაიდან ისინი გადარჩენის პირობად იქცევიან. თუ მონეტარული პოლიტიკა მთლიანად გაკოტრდება, მაშინ ერების მეთაურები, შესაძლოა, შეიკრიბონ და ახალი ფინანსური სისტემა დააარსონ. რა არის საერთაშორისო სავალუტო ფონდი? ეს ხომ ბანკი არ არის? ეს ანგლო-ამერიკული ინტერესებისა და მისივე პოლიტიკის გამტარებელი მაკონტროლებელი მექანიზმია. რა მოხდება, თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდი გაკოტრდება? მოცემული მომენტისათვის ყველა საბანკო სისტემა ევროპაშიც, ამერიკაშიც, იაპონიასა და რუსეთშიც უკვე გაკოტრდა, მათი ზედაპირზე ტივტივი მხოლოდ ფიქციაა. ამიტომ, სახელმწიფოებმა უნდა მოილაპარაკონ და გაკოტრების მექანიზმი აამუშაონ. შემდეგ კი შექმნან ახალი ფინანსური სისტემა, რომელიც ჩვენს საერთო ინტერესებს მოიცავს.

რაში მდგომარეობს ჩვენი ინტერესები? – ვაჭრობის მხარდაჭერაში! წარმოება კი არ უნდა შეჩერდეს, არამედ უნდა გაიცეს კრედიტები სამუშაო ადგილების მოსამატებლად და რეალური ეკონომიკური ზრდის მიღწევისათვის. თავის დროზე სწორედ ამგვარ პოლიტიკას ატარებდა ამერიკის პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი. თუ ეს არ გაკეთდება, ახალ ჰიტლერს მივიღებთ. საბანკო წრეებში ჯერჯერობით არ სურთ რეალობის აღიარება და ყოველმხრივ ამაგრებენ ლიბერალურ სისტემას. ამიტომ, ახლა ყველაზე მეტ საფრთხეს ლიბერალებისგან უნდა ველოდოთ, ყველა ქვეყანაში! ლიბერალები მზად არიან, ნებისმიერ ფასად დაიცვან საკუთარი იდეები. ისინი მსოფლიოს ფინანსურ კრახამდე მიიყვანენ.

– რომელიმე ქვეყანა წინააღმდეგობას უწევს მსოფლიო ხელისუფლების გლობალიზატორულ გეგმებს?

– სიტუაციის გააზრების საქმეში პირველი ძვრები შეინიშნება. ზოგიერთი სახელმწიფოს მეთაური თანდათან ხვდება, რომ მსოფლიო იმპერია ინგრევა და თავიანთი ხალხების გადარჩენას ცდილობენ. იაპონია, ჩინეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები უკვე იღებენ ზომებს საკუთარი ფინანსური სისტემის გადასარჩენად. ეს კაცობრიობის გადასარჩენად მსოფლიო ოლიგარქიის მბრძანებლობის დამარცხების პოლიტიკაა.

– როგორი უნდა იყოს გაეროს როლი ახალ პირობებში?

– საჭიროა სუვენერული სახელმწიფოების პატივისცემის პრინციპთან დაბრუნება. სახელმწიფოებმა ყველას ინტერესების გათვალისწინებით უნდა ითანამშრომლონ და – არა მარტო რჩეული სახელმწიფოების ინტერესებისათვის. გაერო არ უნდა იქცეს ექსკლუზიურ კლუბად, არ უნდა არსებობდეს არავითარი ძალაუფლება ერებზე. დროა, დასრულდეს ნეოკოლონიური სისტემა, ამერიკას აღარ აქვს უფლება ზესახელმწიფოობის პრეტენზია განაცხადოს. სხვაგვარად საქმე საშინელი ომითა და საყოველთაო ქაოსით დასრულდება.

– მაგრამ როგორ მივაღწიოთ ამას?

– აუცილებელია, გავიგოთ, რომ მსოფლიო მმართველობის მომხრეების ქმედება შეცდომები და გათვლები კი არა, მილიონობით ადამიანისათვის შეგნებულად ზიანის მიყენებაა. როდესაც ამას ბევრი მიხვდება, ბოროტება შეუძლებელი გახდება. ბოროტება ხომ მხოლოდ იმის ხარჯზე არსებობს, რომ ადამიანთა უმრავლესობა მას სიკეთედ იღებს.

– რა პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს თანამედროვე პოლიტიკა?

– პოლიტიკა ზნეობრივი უნდა იყოს. ჩვენ ვალდებულნი ვართ, გვახსოვდეს, რომ ადამიანი უფლის სახედ და ხატადაა შექმნილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება ამორალური, ამ ხატის საზიანო, ადამიანებისთვის მავნე პოლიტიკის გატარება. არანაირი ეკონომიკა არ ღირს იმად, რომ მას ადამიანები ეწირებოდნენ.

Russia-Today



ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

მათმა გავლენამ გაგარინზე და გადამეტებულმა სიფიცხემ დადეშქელიანთან მოქმედების დროს მთელის საქმის მიკერძვითმა და უსწორო გაშუქებამ ასე სამწუხაროთ დააბოლოვეს ეს საქმე. სამწუხაროდ ჩვენში წარსული გაკვეთილები არ უნდათ გამოიყენონ ჭკუის სასწავლად. მოკვლა გენერალ ლაზარევისა საქართველოს დედოფალ მარიას მიერ, მოკვლა ბაქოელ ხანის მიერ თავად ციციშვილისა ჩვენთვის ჭკუისასწავლებელი გაკვეთილები უნდა ყოფილიყო იმისა, რომ ყოველი ტახტიდან ჩამოგდება თუნდ სულ პაწაწუნა მეფისა, თუ ეს ჩამოგდება ხდება უტაქტოდ, სიფიცხით, – უეჭველად ტრაგიკულად უნდა გათავდეს. უსლარს ათვალისწინებული ჰყავდა დადეშქელიანი, იმას ბანს აძლევდა ბარტოლომეი, ხოლო გაგარინი ამას არაფერს ამჩნევდა, და როგორც, კაცთმოყვარე ადამიანს, ეგონა თავის პირად გავლენით დადეშქელიანს შეუმსუბუქდა ცხოვრების მწარე წუთებს, და, ის კი არა, იკისრა მისთვის შეუფერებელი როლი–მეფისნაცვლის განკარგულებათა აღმასრულებელისა დადეშქელიანთან. მარტო კომენდანტსა და პოლიცმეისტერს სულ ადვილად შეეძლოთ გაესტუმრებინათ დადეშქელიანი ერევანში. თვითონ დადეშქელინიც, ცხადია, ისეთის საშინელის სიკვდილით არ მოკვდებოდა, და რაკი თავის საქმის გათავებას მოესწრებოდა, შეიძლებოდა, დღემდეც ეცხოვრნა ისევე, როგორც მისნი სამნი ძმანი სცხოვრობენ, სადმე სამხრეთ რუსეთში, თავის მამულში.

მაგრამ ეს ასე თუ ისე, ერთსა და იმავე დროს ორის – სამეგრელოს და სვანეთის – ავტონომიის გაუქმებით და რუსის **„მმართველობის შემოღებით"**, აქ ჩვენის ფეხისმოკიდების საქმეში ერთი ნაბიჯი გადავდგით წინ. ამ მართველობის პირველ მოღვაწეობის შესახებ სამეგრელოში ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ჩვენ მოგონებათა დასაყისში; ჩვენი სათქმელი შეგვაწყვეტინა გაგარინის სიკვდილის ამბავმა, და ახლა, რაკი ისიც ვუამბეთ მიკითხველს, ხელახლა დავუბრუნდეთ ჩვენს დაწყებულს მოთხრობას.

სენაკის ოლქის მცხოვრებთა შემადგენლობა და დახასიათება

ეკატერინე დედოფლის პეტერბურგში წასვლის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, ისე ნ. კოლუბიაკინთან თავადნი ჩიქოვანნი მოვიდენ, მეტად შერცხვენილნი. თანაც ეშინოდათ, ვაი თუ ჩვენის, როგორც მცირედ, ისე დიდ, დანაშაულობათათვის რუსის მთავრობამ დაგვსაჯოსო. ყველა ნათესავებისა და თანამოგვარეთა მაგივრად ყველაზე უფროსი თავადი სიკო ჩიქოვანი ლაპარაკობდა. იმან მოახსენა გენერალს: **"იმიტომ კი არ გეახელით თქვენთან, რომ თავი ვიმართლოთ. არამედ იმიტომ, რომ გვეპატიოს, რაც რამ დანაშაული ჩავიდინეთო. ჩვენ არ შეგვიძლია ვუორგულოთ მთავრის ოჯახს, და სწორედ ეს ერთგულება შეიქნა მიზეზი ყველა ჩვენის დანაშაულისა რუსის მთავრობის წინაშეო. გთხოვთ, მიხედოთ ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობასა, გვაპატიოთ ჩვენი ბრიყვული საქციელი, რომელიც მხოლოდ გადაჭარბებულმა ერთგულებამ და გულმოდგინებამ ჩაგვადენინა. მთავრის ოჯახი სამეგრელოდან წავიდა, ჩვენ დავობლდით და ახლა თქვენთან მოვსულვართ, როგორც მამასთან: გთხოვთ ჩვენი მფარველობა იკისროთ და ჩვენც მზადა ვართ რუსის მთავრობას ისევე ერთგულად და გულმოდგინეთ ვემსახუროთ, როგორც ჩვენს მთავარს ვემსახურებოდითო".**

როცა სიკო ამას ამბობდა, ჩიქოვანებს სახეზე გულწრფელი მწუხარება ეხატებოდათ; ზოგიერთი მოხუცთ თვალზე ცრემლები წამოასხდათ. მოციქულის სიტყვების გულწრფელობამ კოლუბიაკინს, როგორც ეტყობოდა, გული მოულბო და სიკო ჩიქოვანს უპასუხა: **"რაკი შეინანიეთ თქვენი დანაშაული, მეც სიამოვნებით გაპატიებთ და თქვენი უმცროსი ნათესავები თქვენთვის ჩამიბარებია. ამის შემდეგ თქვენ უნდა იყვეთ მათი ხელმძღვანელიო. ჩიქოვანების გვაროვნებას აქამდე რაც უფლებები ჰქონდა, ამის შემდეგ უნდა გამოეთხოვის; მაგრამ პირადს და ქონებრივ უფლებას მათსას, როგორც სხვებისასას, კანონი ყოველთვის დაიფარავს ყოვლადის მიუდგომელობით. თითო ოროლას თუ პირადად რამე ჩაუდენია, ამისთვის ნუ სწუხან, – რუსის მთავრობა იმდენად ძლიერია, რომ ამისთანეები შეუძლია აინუშშიც არ ჩააგდოსო".**

ჩიქოვანებთან შერიგება რუსებისთვისაც კარგი იყო. მთავრების დროს ჩიქოვანებს მთელი დასი ჰქონდათ შემდგარი და ეს დასი განაგებდა ყველა საადმინისტრაციო და სასამართლო საქმეებსა. ამიტომ, ბევრი რამ იცოდნენ წარსულის ამბებისა, რაიცა ჩვენ, რუსებსაც უნდა შეგვეტყო. და ჩვენც ვსარგებლობდით მათგამ ამ ცნობებითა. ორი თუ სამი მათგანი, შემდეგში, სამსახურშიც კი იქმნენ მიღებულნი.

კოლუბიაკინმა განიზრახა სამეგრელოს მკვიდრთათვის უფრო კარგად ჩაეგონებინა, რომ ამიერიდან თქვენს საქმეებს რუსის მთავრობა განაგებსო და ამისათვის საჭიროდ სცნო მთელი სამეგრელო შემოევლო. სამოგზაუროდ გიორგობისთვე აირჩია. შედგენილ იქნა გეგმა გენერლის მოგზაურობისა სამსავე ოლქში. ყოველს ოლქში ადგილობრივივე უფროსი დაჰყვებოდა. სადაც კი გაჩერდებოდა გენერალი, მაშინათვე ახლო-მახლო მცხოვრები მებატონეები და გლეხები იმასთან თავს მოიყრიდნენ. გენერალი ბევრს ლაპარაკობდა მათთან, ჩვეულებისამებრ, ჰყვიროდა და ცხარობდა, მაგრამ ხალხი მაინც ყველგან მადლობელი რჩებოდა. ყველა ხედავდა, გენერალი ყურს გვიგდებს, ჩვენს თხოვნას ისმენს, მაშინათვე მიხვდება ხოლმე ყველაფერსა და, თუმცა საშინლად უყვარს ყვირილი, მაგრამ საქმეს მაინც სოლომონ ბრძენივით არჩევსო. ყოვლად შეუძლებელია კაცმა ჩამოთვალოს ყველაფერი, რასაც ამბობდნენ გენერლის ამ მოგზაურობის დროს; კაცმა თვითონ უნდა იმსახუროს ხალხის მართვა-გამგეობაში, განსაკუთრებით კავკასიის ხალხთან, რომ წარმოიდგინოს, როგორ იცის ლაპარაკი სამხრეთის ცხარე და აპირპირებულ ხასიათის მკვიდრმა.

გენერალმა სამეგრელო დაიარა. და ამ მისმა მოგზაურობამ სარგებლობაც მოუტანა მკვიდრთ. სოფლელთა ცხოვრება დამშვიდდა და მოწესრიგდა. ოლქის უფროსებს საქმე როგორც სამოსამართლო, ისე საპოლიციო დღითიდღე ემატებოდათ. ბოლოს, იქამდე მივიდა საქმე, რომ დილიდან მოყოლებული საღამომდე საქმეებს-და არჩევდნენ.

ოლქის უფროსს, როგორც უკვე ვთქვით, სამი თანაშემწე უნდა ჰყოლოდა: ორი რუსი და ერთიც ადგილობრივი მკვიდრი. ამორჩევა და აქ მოწვევა რუსების მოხელეთა ადვილი საქმე არ იყო, ამიტომ იძულებული ვიყავით ქუთაისის გუბერნიიდან წამოგვეყვანა მოხელენი. მაგრამ იქიდან კიდევ იმავე თანამდებობაზე, რაც იქ ეჭირა, არავინ მიდიოდა. მარტო ის თუ წამოვიდოდა, ვინც დაწინაურებას ესწრაფვოდა. ამის წყალობით მთელი ერთი წელიწადი მეტი ვერ ვიშოვნე ჩემთვის თანაშემწე. ჩემს კანცელარიაში ერთი სეკრეტარი მყავდა, ერთი მისი თანაშემწე, თარჯიმანი-მწერალი და ორი-სამი გადამწერელი, რომელთა შოვნა ადვილი არ იყო. გარდა ამათი, ჩემთან ერთი ზეპირი თარჯიმანიცა მყავდა. ეს თანამდებობა ძალზე საჭირო და საანელო იყო, რადგან ხალხთან თითქმის შეუწყვეტლივ გვიხდებოდა ლაპარაკი. პირველში იძულებულ ვიყავი რამდენიმე თარჯიმანი გამომეცვალნა, სანამ ხელში მიხვედრილი და კარგი ყმაწვილი არ ჩამოვარდა, 18 წლისა, ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძე (ბოროზდინთან მუშაობის შემდეგ ქავთარაძე ბოქაულად იყო ჯერ ახალსენაკში, მერე შორაპნის მაზრაში, ბოლოს – ძველსენაკში (სამეგრელოში), სადაც 1898 წლის ზაფხულში 80 წლის ასაკში გარდაიცვალა). ჩემი ახალი თარჯიმანი მარტვილის (სამეგრელოს) სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა და თუმცა რუსულად წერა და ლაპარაკი მაგდენი არ იცოდა, სამაგიეროდ გულდადებით და დაკვირვებულად ასრულებდა თავის საქმესა. ბ. ქავთარაძე მისმა მამამ, პატივცემულმა კეთილმოწესემ, მომიყვანა და მითხრა: როგორც მამისთვის, ისე ჩამიბარებია, იქნებ წიგნი რამ ასწავლო და კაცად გამოიყვანოვო. მას აქეთ, სანამ სამეგრელოში ვიყავი, მთელის ოთხის წლის განმავლობაში ერთმანეთს არ გავშორებივართ. რუსის მოხელე ყოველთ უწინარეს დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი თარჯიმანი პატიოსანი და სანდოა. და თუ ეს თვისება აკლია თარჯიმანს, ყოველს ნაბიჯზე უნდა მოელოდეს მოტყუებასა, ყოველს ნაბიჯზე უნდა ინანოს თავისი მოქმედება; ეშმაკი და ამასთან ურცხვი თარჯიმანი თეორს შავად მოაჩვენებს ენის უცოდინარს მოხელესა, და ეს მით უფრო სავალალო იქნება, რაც უფრო დიდი თანამდებობა უჭირავს მოხელესა. ქართული ენა უკვე იმდენად მესმოდა, რომ მოტყუების არ მეშინოდა და ბესარიონსა ვთხოვდი, ჩემი ნათქვამი არამც თუ სიტყვა-სიტყვით გადაეცა, უკლებლივ, არამედ ყოველგვარის მნიშვნელობითაც; ისიც თანდათან ეჩვეოდა სწორე თარგმნასა და ერთი წლის შემდეგ გარკვევით ლაპარაკობდა რუსულს.

მე, როგორც იყო, ვიშოვე პატიოსანი და ნიჭიერი ყმაწვილი კაცი, მაგრამ ნ.პ. კოლუბიაკინმა, რაც რაფიელ ერისთავი მოშორდა (აწ უკვე ზუგდიდის ოლქის უფროსი), სანამ კავალერიის კორნეტი თავადი ალექსანდრე ნაკაშიძე არ აიყვანა თარჯიმნად, ბევრი ტანჯვა გამოიარა სხვა-და-სხვა მატყუარა თარჯიმნების ხელში. სხვათა შორის, თარჯიმნად ერთი აზნაური, თეიმურაზ თოფურია ჰყავდა, რომელიც უღმერთოდ ატყუებდა ხან განზრახ, ხან კიდევ ენის უცოდინარობის წყალობით. ერთხელ კოლუბიაკინთან ვიყავ. გლეხები მოვიდნენ და მებატონეს უჩივლეს. თარჯიმანი თოფურია ადგა და გლეხების სიტყვები სულ სხვანაირად გადასცა კოლუბიაკინს, – რა თქმა უნდა, თავისი ძმა-მებატონე უნდოდა გაემართლებინა. თოფურიას არ ეგონა თუ მე ქართული ვიცოდი. გლეხები ამბობდნენ, **"ბატონი ხელ-ფეხში ხუნდებს გვიყრისო"**, და თოფურიამ კი ასე გადათარგმნა: ბატონი ახალ-ახალი ბეგარით აწუხებს ამ გლეხებსო. მე, რა თქმა უნდა, ჩავერიე და მისი ეშმაკობა გამოვააშკარავე, რისთვისაც ჩვენს თარჯიმანს ძალიან მოხვდა. მეორეჯერ თოფურიასავე წყალობით მე და კოლუბიაკინს შეცთომა მოგვივიდა. ერთი ბერი იყო და საეკლესიო დალასა ჰკრეფდა გლეხებისაგან. თან გლეხებს აშფოთებდა და ეუბნებოდა, საეკლესიო მამულებზე ვინც სახლობს, იმათ ბატონი არავინა ჰყავს თვინიერ წმინდა გიორგისა, და რუსის ადმინისტრაციას იმათთან ხელი არა აქვსო. გლეხებმა დაუჯერეს ბერს და როცა მოურავმა ბეგარაზე გაყვანა მოუნდომა ხალხს გზის შესაკეთებლად, აღარ გავიდნენ, ჩვენი საქმე არ არისო. იძულებული ვიყავი წავსულიყავ ალაგობრივ და გლეხებისათვის ჩამეგონებინა მათი შეცთომა, ხოლო ბერს გამოვუცხადე, რომ თუ კიდევ გამიგონია შენგან გლეხების აჯანყება, უბოდიშოდ ყაზახ-რუსებს მივცემ შენს თავს და სამეგრელოს მმართველთან გაგაგზავნი-მეთქი. მეორე დღეს კოლუბიაკინმა მიხმო; მისაღებ ოთახში გუშინდელი ბერი დამხვდა, ხოლო კაბინეტში გენერალი, როგორც ეტყობოდა, შეშინებული. ამ სიტყვებით მომეგება: **"თუ მართლა სცემეთ... ეს ყველას მოუვა, როგორმე გააჩუმეთ. მიეცით ათიოდ თუმანი, თუ ფული არა გაქვთ, მე მოგცემთ".**

გენერლის სიტყვები ვერ გავიგე და, ამიტომ, ვთხოვე ბერი ოთახში შემოეყვანათ და ჩემს წინაშე ეკითხნა, რასა სჩივოდა. აღმოჩნდა, რომ სიტყვა **გალახა,** რომელსაც ქართულად ორგვარი მნიშვნელობა აქვს – **ლანძღვა** (გლახა) და ცემა, თოფურიას უკანასკნელი მნიშვნელობით გადაეთარგმნა და ისე გაუგია კოლუბიაკინს, ვითომ მე წმინდა მამისათვის მეცემნოს. ძალიან შეწუხებულა კოლუბიაკინი, სხვა არაფერი გამოუკითხავს ბერისთვის და მაშინვე კაცი უფრენია ჩემთან. ახლა კი, როცა ყველაფერი გამოირკვა, ბერსაც და თოფურიასაც, რა თქმა უნდა, შუბლზე არავინ აკოცა. თოფურიას თარჯიმანობა ჩამოართვეს და უბრალო იასაულად გახადეს.

ამისთანა ამბები ხშირად ხდებოდა ხოლმე უვიც თარჯიმნების წყალობით. ამიტომ, თავადი ვორონცოვი ძალიან აფასებდა იმ რუს ადმინისტრატორ-მოხელეებს, ვინც ადგილობრივ ენებსა სწავლობდნენ, და ყველას აქეზებდა, ისწავლეთო. მაგრამ აქაც მოხდებოდა ხოლმე სასაცილო ამბები. ერთხელ გორის ოლქში მივიდა. მცხოვრებნი აქ ოსები არიან და უფროსად ერთი ვორონცოვის საყვარელი კაცი იყო, გრაფი სიმონიჩი, რომელიც აქ ორი წელიწადი მეტი უფროსობდა. მისალმების შემდეგ ვორონცოვმა ჰკითხა:

– აბა, ოსურად ხომ ლაპარაკობ ახლა, სიმონიჩ?

– ვლაპარაკობ, თქვენო ბრწყინვალებავ.

– აი, ამისთვის გიმადლით! მაშ თარჯიმანად შენ მეყოლები. ძალიან მოხარული ვარ. აბა დაუძახე იმ მოხუცს, იქ რომ დგას.

მოხუცნი მოვიდნენ და მდაბლად სალამი მისცეს.

– კარგადა სცხოვრობთ, მოხუცნო? ხომ მშვიდობაა თქვენკენ?

– მშვიდობაა, სარდალო, მადლობა ღმერთს.

– ჭირნახული როგორია?

– მშვენიერია, სარდალო!

– კალია ხომ არ ყოფილა?

– გახლდათ სარდალო, ახლაც არის, კალია როგორ არ იქნება?

ვორონცოვი გაოცებული იყურებოდა.

– კარგი და, სიმონიჩ, შენ რატომ არა შეგატყობინე-რა, თუ კი იქ კალია იყო?

სიმონიჩს შერცხვა, რაღაც ლუღლუღს მოჰყვა: თითონ მეც არ შემინიშნავსო... მაგრამ კალია როგორ-და არ უნდა შეენიშნა?

– არა, კიდევა ჰკითხე კარგად, იქნება ვერ გაიგე რამე მათი ნათქვამი, იქნება შეგცდა რამე?

ვინ ვისი კაცია სააკაშვილის გარემოცვაში?

„ვანო მერაბიშვილი საქართველოს სამ მეოთხედს აკონტროლებს, დანარჩენი დაკარგული გვაქვს, თორემ იმასაც გააკონტროლებდა“

შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროები, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო, საჯარო რეესტრი – ეს იმ მნიშვნელოვანი სამსახურებისა და რეგიონების არასრული ჩამონათვალია, რომელიც, სავარაუდოდ, შს მინისტრს – ვანო მერაბიშვილს ექვემდებარება. როგორც ამბობენ, მათი ხელმძღვანელები მერაბიშვილის უშუალო მითითებებს ასრულებენ. ვინ არის სააკაშვილის მარჯვენა ხელი და ვის უფრო მეტი დასაყრდენი ძალა ჰყავს საქართველოში? მერაბიშვილი, უგულავა, ბოკერია, თარგამაძე, ცისკარიშვილი, ბაქრაძე – ვინ ვისი „კაცია“ და ვის უფრო მეტი გავლენა აქვს დაბალ სახელისუფლო რგოლებში? „ილორი“ გთავაზობთ ამ სავარაუდო სქემას.

ქართველი რისი ქართველია, თუ თანამდებობაზე მოსვლისთანავე საკუთარი სამსახური და სტრუქტურა ნათესავ-მეგობრებით არ გაავსო. ეს სენი დღეს არ დაწყებულა და, ალბათ, არც დასრულდება. ასეთი ხელისუფლების ხელში თუკი რამეს გინდა მიაღწიო, „კრიშის“ ძებნა უნდა დაიწყო. მარტო შევარდნაძისა და კახა თარგამაძის გახსენება რად ღირს. ყველას კარგად ემახსოვრება, მაშინდელ საქართველოში არათუ ბიზნესს, არამედ პატარა ჯიხურსაც ვერ გახსნიდი, თუ კახა თარგამაძე არ გეჯდა წილში და არ გმფარველობდა. ედუარს მარჯვენა მხარეს თუ თარგამაძე ეჯდა, მარცხენას ნინო ბურჯანაძე, ვიტალი ხაზარაძე და სხვები უმშვენებდნენ, თუმცა „მეფქვილეთა“ ოჯახის წევრმა როგორ უღალატა პრეზიდენტს, ამას სიკვდილამდე ვერ მოინელებს ბერლინის კედლის დამანგრეველი.

არც დღეს შეცვლილა რამე. სახელმწიფოს სათავეში მიხეილ სააკაშვილი დგას. მის მარჯვნივ კვლავ შინაგან საქმეთა მინისტრი ფიგურირებს; სტატისტიკას თუ დავეყრდნობით, დავინახავთ, რომ **„სტაბილურად“** ქვეყნისა და პრეზიდენტის **„შავ საქმეებს“** შს მინისტრები ასრულებენ.

ხშირად გაიგონებ, რომ ქართული სახელმწიფოს ხერხემალი შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილიაო. ქვეყნისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩვენი პრეზიდენტის ფავორიტი და გამორჩეული მინისტრი ნამდვილად გახლავთ. სააკაშვილი ხომ თანამდებობის შენარჩუნებას, მთელ რიგ შემთხვევებში, მას უნდა უმადლოდეს.

მაშ ასე, იერარქიულად, პრეზიდენტზე ერთი საფეხურით დაბლა ადგილი შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს მივაკუთვნეთ. იმედს დავიტოვებთ, რომ პროფესიით გეოდეზისტი მინისტრი არ გვიწყენს და გვაპატიებს, პრეზიდენტის გვერდით რომ არ გავამწესეთ.

თავის მხრივ, ვანო მერაბიშვილის მარჯვენა ხელია ამირან მესხელი. ეს ორი ძალოვანი, თავის დროზე ახალციხეში არასამთავრობო ორგანიზაციაში ერთად მუშაობდა და მოგვიანებით მერაბიშვილმა, მინისტრად გადასვლის შემდეგ, მესხელი მოადგილედ დაისვა. საქართველოში, უხეშად რომ ვთქვათ, ვინ უნდა იცოცხლოს და ვინ – არა, მერაბიშვილთან ერთად მესხელი წყვეტს და ამ თანამდებობასაც სტაბილურად ინარჩუნებს.

მერაბიშვილის „საკუთრებაში“ შედის სამცხე-ჯავახეთის რეგიონი, რომელიც პატარა ბომბივითაა, იქ მცხოვრები სომხების ფონზე. როდესაც უჭირს მიშას, სწორედ მაშინ ამოქმედებს ამ ბომბს ჯავახეთში ვანო და მაშინ სრულიად საქართველოს მოსახლეობის მახვილი მზერაც ჯავახეთზე გადადის. გავიხსენოთ თუნდაც შარშან, ომამდელ დაძაბულ პერიოდში, ჯავახეთში ადგილობრივი ორგანიზაცია „ჯავახქის“ წევრების მიერ ქართველი პოლიციელის მოკვლის ფაქტი. შემდეგ მოქმედება უკვე ამერიკული ბლოკბასტერის მსგავსად განვითარდა – ვანომ სპეცრაზმი ჯავახეთში გადაისროლა, რომელმაც „ჯავახქის“ წევრების დაჭერა-დარბევა დაიწყო. სამცხე-ჯავახეთში გუბერნატორად ვინც არ უნდა დაინიშნოს, მან იცის, რომ მისი ამ პოსტზე ყოფნა ფიქტიურია და რეგიონს რეალურად მერაბიშვილის ოჯახის წევრები მართავენ.

თავდაცვის სამინისტროში საქმე ცოტა რთულად იყო. **„ვარდების რევოლუციის“** შემდეგ მოსულმა ოქრუაშვილმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ქართლის შვილმა არც აცია, არც აცხელა და საკუთარი კადრებით დააკომპლექტა შიდა ქართლის ხელისუფლება, ანუ ქართლში ყველაფერი ისე კეთდებოდა, როგორც ეს ოქრუაშვილს სურდა. ოქრუაშვილი მოიშორეს, მოიშორეს ქარელიც და **„რკინის მინისტრის“** ყველა კადრი, ქართული თავდაცვა კი, ალბათ, ყველა დროის ყველაზე სამარცხვინო მინისტრს – დავით კეზერაშვილს გადააბარეს. თავდაცვის სისტემა რომ მთლად რიგზე და მწყობრში ვერ იყო, ეს აგვისტოს ომმა ყველაზე კარგად ცხადყო. დავით კეზერაშვილის საეჭვო საქმიანობით არავინ დაინტერესებულა, მაგრამ სამსახურიდან კი გაუშვეს და დროებით პოსტი დავით სიხარულიძეს ჩააბარეს. დიდხანს თანამდებობაზე არც სიხარულიძე ყოფილა, ყველაზე მოულოდნელი და სკანდალური კი თავდაცვის მინისტრის პოსტზე ბაჩო ახალაიას დანიშვნა იყო. ასე გახდა თავდაცვის სამინისტროც ვანო მერაბიშვილზე დამოკიდებული, თუმცა – არამარტო თავდაცვა; **„საახალაიოდ“** წოდებული სამეგრელოც ამით მერაბიშვილის დაქვემდებარებაში გადავიდა.

ძმები ახალაიებიდან ერთ-ერთი – დათა „კუდის“ ხელმძღვანელი იყო, ხოლო ბაჩო – სასჯელაღსრულების დეპარტამენტის. ეს ორივე მნიშვნელოვანი სტრუქტურა შს სამინისტროს დაქვემდებარებაში შედის. უფროსმა ახალაიამ, გირგვლიანის გახმაურებული მკვლელობის შემდეგ, პოსტი ფიქტიურად „დატოვა“, მისი ძმის თავდაცვის მინისტრის პოსტზე გადაყვანის შემდეგ კი ძმის მოადგილედ დაინიშნა. როგორც კულუარებში ამბობენ, დათა ახალაია არაოფიციალურად საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბს ხელმძღვანელობს. გენშტაბის ყოფილი უფროსი ჩაჩიბაია გოგი თუხარელმა ჩაანაცვლა, რომელიც შინაგანი ჯარების ყოფილი სარდალი იყო. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეცრაზმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მანუჩარ ოსაშვილი ახლა თავდაცვაში გადაიყვანეს. გენშტაბის უფროსის მოადგილეები ყურაშვილი და ნაირაშვილიც ახალაიების კადრებმა ჩაანაცვლეს. „სოდის“ ახლანდელი შეფი კოდუა და მისი ძმაც ვანო მერაბიშვილის „ყურმოჭრილი მონები“ არიან... რაც შეეხება ახალაიების მამას, როლანდ ახალაიას, ის სამეგრელოს მთავარი პროკურორია.

საპატრულო პოლიციაც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სტრუქტურაა და ისიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ეკუთვნის. შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებს, სამცხე ჯავახეთსა და ახლა უკვე სტაბილურად სამეგრელოსაც აერთიანებს ერთი კაცი – ვანო მერაბიშვილი.

არც **საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** დაგვავიწყდეს; **თავის დროზე მას ვანო მერაბიშვილის დეიდაშვილი დავით ეგიაშვილი ხელმძღვანელობდა,** რომელმაც მოგვიანებით საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა და ეს პოსტი **ჯაბა ებანოიძემ** მიიღო. ერთი შეხედვით, აქ არაფერია ისეთი, რომ ვიფიქროთ ებანოიძის პრომერაბიშვილობაზე, თუმცა ერთ სიანტერესო დეტალს ვაწყდებით ებანოიძის ბიოგრაფიაში: **რაოდენ გასაოცარი უნდა იყოს, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის საპატიო წევრთა შორის, „ქრისტიან-დემოკრატ“ გიორგი თარგამაძესა და „რეს-პუბლიკელ“ დავით ზურაბიშვილთან ერთად, არც მეტი, არც ნაკლები, ვანო მერბიშვილს, ჯაბა ებანოიძესა და გიგა ბოკერიასაც ვხვდებით. ჯაბა ებანოიძე ამჟამად იუსტიციის მინისტრია.**

თუკი ბოკერიასა და მერაბიშვილს მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის სიყვარული აერთიანებთ, არ გვგონია, რომ სხვა რამეში შეეწინააღმდეგონ ერთმანეთს. თავის მხრივ, ბოკერიას მამის ხელშია თბილისში არსებული სამშენებლო ბიზნესი და ვაკის რაიონში მონოპოლია აქვს აღებული. სამშენებელო ბიზნესს, თავი დავანებოთ და, **კახეთის გუბერნატორის მოადგილე, მაშინდელი გენპროკურორის ძმა დავით ადეიშვილი იყო, რომელიც მოგვიანებით შს სამინისტროში გადმოიყვანეს; კახეთშიც, ებანოიძის მსგავსად, მერაბიშვილის კადრი დატოვეს, უფრო სწორედ, ადეიშვილი-ცისკარიშვილის კადრები. ადეიშვილი ამჟამად იუსტიციის მინისტრია. ამ პოსტზე კი ვინ დაინიშნებოდა, თუ არა ვანო მერაბიშვილის მრწამსის გამზიარებელი.**

მნიშვნელოვანი ფიგურები არიან ძმები კუბლაშვილებიც. ერთი ძმა – კოტე – უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეა, ხოლო მეორე – პავლე – ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეა. მოკლედ, მათზე რომ ბევრი არ ვისაუბროთ, ნათელია, თუ **„ვისკენ“** არიან კუბლაშვილები.

მეორე მნიშვნელოვანი ფიგურა პრეზიდენტ საკაშვილის გარემოცვიდან არის გიგი უგულავა, თუმცა არც თუ ძლიერი დასაყრდენით. უგულავას მერია, მერიას დაქვემდებარებული სამსახურები და ჩუმად სხვადასხვა სტრუქტურებიც თანაუგრძნობენ. ბევრის აზრით, მიხეილ სააკაშვილი გიგი უგულავას პრეზიდენტად ამზადებს, მაგრამ ფაქტია, რომ მას არც თუ ისე დიდი დასაყრდენი ძალა ჰყავს. იმასაც ამბობენ, რომ მთავარი პროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე გიგი უგულავას კაციაო.

„პროკურატურაში ამბობენ, რომ საყვარელიძე უგულავას კაცია, მე ზუსტად არ ვიცი. ზოგადად, ყველა ერთმანეთის არის. დაბალ თანამდებობებზე პოლიტიკური ნიშნით და მეგობრობით არავინ ინიშნება. ეგ მცდარი შეხედულებაა, მაგრამ მე რომ ვიყო რომელიმე სტრუქტურის ხელმძღვანელი, განა ჩემს ხალხს არ მოვიყვან? კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ ყველა ყველასია და ზურგს უკან ერთმანეთს რას უკეთებენ, ნამდვილად არ ვიცი“, –აღნიშნა ჩემთან საუბარში პროკურატურის ერთმა თანამშრომელმა. მას კითხვა კირკიტაძესთან დაკავშირებითაც დავუსვი, რომელმაც ამ ბოლო დროს ზედმეტად **„გაილაღა“** და მუშტიკრივზეც გადავიდა.

„რა, ეგ პირველი იყო კირკიტაძის მხრიდან თუ? მისი უშუალო „პატრონი“ ვინაა, არ ვიცი, მაგრამ კირკიტაძის დროც მაშინ დასრულდება, როცა ეს ხელისუფლება წავა“.

კიდევ ერთი კადრი ხელისუფლებიდან, რომელიც რეგიონებზე მუშაობს, . **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, პირველი ვიცე-პრემიერი დავით ტყეშელაშვილია.** როგორც ამბობენ, რაჭა მთლიანად მას ექვემდებარება და არც სხვა რეგიონებში აქვს **„ცუდად“** საქმე. მასთან დაკავშირებით პროკურატურის თანამშრომელს სხვა პოზიცია აქვს:

„შეიძლება ტყეშელაშვილი მუშაობს რეგიონებზე, მაგრამ ის ყველაფერს სხვისი დავალებით აკეთებს, თავისი შეხედულებისამებრ კაცსაც კი ვერ დანიშნავს. მას შეიძლება გავლენა ჰქონდეს რაჭაში, მაგრამ ვერ ექნება იგივე სამცხე-ჯავახეთში, კახეთში ან სამეგრელოში. მას, როგორც ვიცი, თავისი ხალხი მის უბანში – ნახალოვკაში ჰყავს“.

რამდენად სერიოზულია ის, რომ ტყეშელაშვილის გავლენა ნახალოვკაში, მის უბანში ვრცელდება, ამას ვერ გეტყვით, მაგრამ, როგორც ჩანს, ტყეშელაშვილი მერაბიშვილივით თავის ჭკუაზე ვერ მოქმედებს.

ამბობენ, გურიის რეგიონში მაღალ თანამდებობებზე ნიკა გვარამიას ახლობლები არიანო. ეტყობა გვარამია მიხვდა, რომ სამეგრელო დიდი ხნით „დაკარგა“ და გურიაში მოსინჯა „ძალები“.

რაც შეეხება ბათუმს, ხელმძღვანელი თანამდებობების 80 პროცენტი ვარშალომიძის ნათესავებს უჭირავთ და საზღვაო კურორტებსაც ისინი აკონტროლებენ.

ერთ პოლიტიკურ ფორუმზე ენამოსწრებული ხუმრობა წავიკითხე: **„ვანო მერაბიშვილი საქართველოს სამ მეოთხედს აკონტროლებს, დანარჩენი დაკარგული გვაქვს, თორემ იმასაც გააკონტროლებდა“.**

რამდენად სამწუხაროც უნდა იყოს, საქართველოს ყველაზე დიდი **„ფეოდალი“** დღეს ვანო მერაბიშვილია.

მაგდა კლდიაშვილი

გამარჯვებისთვის სტალინი რუსი პატრიოტი გახდა

გაზეთ **„Corriere della Sera“**-ს რუბრიკა **„მკითხველის წერილები“** წამყვანი სერჯიო რომანო პასუხობს კითხვაზე – შეიძლება თუ არა, სტალინი ჩაითვალოს **„საბჭოთა კონსერვატორად“**, რომელმაც მართლმადიდებლობის რეაბილიტაცია მოახდინა, დაადგინა მითი მეფის იმპერიაზე და საზოგადოების ტრადიციული ღირებულებები აღორძინა?

სტალინის რუსული ნაციონალიზმი გარემოებათა ზეწოლით გამოწვეული გააზრებული არჩევანი იყო,– ვარაუდობს რუბრიკის ავტორი. ცნობამ, რომ ჰიტლერმა ოპერაცია **„ბარბაროსა“** დაიწყო (1941 წლის ივნისი), საბჭოთა ლიდერზე დიდი ზემოქმედება მოახდინა. სტალინი რამდენიმე დღის განმავლობაში ფსიქოლოგიური დამბლის მდგომარეობაში იმყოფებოდა. ფრონტიდან შემაძრწუნებელი ცნობები მოდიოდა. გარკვეულ მომენტში სტალინი მიხვდა, რომ რუსები ჰიტლერს კომუნიზმის სახელით ვერ დაამარცხებდნენ – მათ გამარჯვება მხოლოდ დიდი მამულისთვის შეეძლოთ. მდგომარეობიდან გამოსვლის შემდეგ სტალინმა უკვე ყოყმანის გარეშე დაიწყო პატრიოტიზმისა და რელიგიური რწმენის კარტის გათამაშება. მან გარკვეული ნაბიჯები გადადგა მართლმადიდებლური ეკლესიისკენ, ხოლო თავის გამოსვლებში იყენებდა ისეთსავე მოწოდებებსა და გამონათქვამებს, რაც ჯერ კიდევ 1812 წლის სამამულო ომისას ჟღერდა. მან საჩქაროდ გამოუშვა ბანაკებიდან წმენდისას მოყოლილი ოფიცრები,– ირწმუნება სერჯიო რომანო, – ასევე მოუწოდა არტისტებსა და ინტელიგენციას, საკუთარი წვლილი შეეტანათ ქვეყნის მორალურად ამაღლების პროცესში.

ჩრდილიდან გამოვიდნენ ისეთი დიდი ოსტატები, როგორებიც იყვნენ ანა ახმატოვა და დიმიტრი შოსტაკოვიჩი. კინემატოგრაფისტებმა დაიწყეს ისტორიული ფილმების გადაღება, რომლებიც განადიდებდნენ ისეთ ისტორიულ პიროვნებებს, როგორიცაა: მეფე ალექსანდრე ნეველი, მეფე ივანე მრისხანე და ა. შ. სტალინმა თავისუფლება მიანიჭა ებრაელებსაც, რომელთაც ყოველთვის ფრთხილად ეკიდებოდა – მათ შეეძლოთ, ისევ გაეხსნათ თავიანთი ნაციონალური თეატრი, შეექმნათ კულტურული ასოციაციები. ამას გარდა, სტალინმა საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელი შეერთებულ შტატებშიც კი მიავლინა, რომ მათ ამერიკელი თანამოძმეები საბჭოთა რეჟიმის მხარდაჭერის აუცილებლობაში დაერწმუნებინათ.

ფრონტზე, სადაც იბრძოდნენ და იღუპებოდნენ, მსგავსმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უდიდესი დადებითი ეფექტი მოახდინა. რუბრიკის წამყვანი წერილის ავტორს ურჩევს, წაიკითხოს ვასილი გროსმანის წიგნი **„ცხოვრება და ბედი“**, რომელშიც აღწერილია სტალინგრადის ბრძოლა. ამ ნაწარმოების გმირები კომუნიზმისთვის კი არა, სამშობლოსთვის იბრძოდნენ, – აღნიშნავს სერჯიო რომანო.

Corriere della Sera

თარგმნა
ლექსო ლეკიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გაუმხილა უშიშროების გენერალმა ნუგზარ საჯაიას, რუსლან გილაევისა და რუსთავი2 -ის შესახებ

ამ წერილის რესპონდენტი რეალური პიროვნებაა – საქართველოს უშიშროების სამსახურის პროფესიონალი, რომელმაც საკუთარი და ახლობლების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა.

ვასრულებთ მის თხოვნას და ვიწყებთ ინტერვიუს:

– რა შეთანხმება არსებობდა საქართველოს ხელისუფლებასა და ჩეჩენ საველე მეთაურს შორის აფხაზეთთან დაკავშირებით.

– ჩეჩნეთიდან უკანდახეული მებრძოლები სხვა დევნილებთან ერთად აფარებდნენ იმ ხეობას თავს. მათი გადმოსვლა არ ხდებოდა თელავის მილიციის ან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით: ათიდან რვა კაცის შემოსვლა პანკისში და მათი იქ დარჩენის საკითხი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების დონეზე წყდებოდა. იქ ყველას, როგორც წესი, ჰქონდა იარაღი...

– იყო შეთანხმება ჩვენს სახელისუფლებო სტრუქტურებთან, რომ ეს ჩეჩენ მებრძოლთა რაზმი გადავიდოდა აფხაზეთში, გაათავისუფლებდა დასახლებულ პუნქტებს. მათ კვალზე შევიდოდნენ ან პარტიზანები, ან ჩვენი სამხედროები, რომლებიც დაიკავებდნენ ჩეჩნების მიერ გავლილ ტერიტორიას და იქ გამაგრდებოდნენ...

– "60 წუთისათვის" კონფიდენციალური ინფორმაციის მიმწოდებლებს ფულს "ვის უნდა 20 ათასის" მეშვეობით უხდიდნენ.

– 2001 წლის ოქტომბერში, ყველას გვახსოვს, როგორი მასობრივი პროტესტი გამოიწვია უშიშროების სამინისტროს რამდენიმე შემმოწმებლის შესვლამ „რუსთავი2"-ში. რა აუცილებლობით იყო ნაკარნახევი ეს „ვიზიტი"? რატომ აიტკივეთ აუტკივარი თავი?

– ჩვენს სამსახურებს უტყუარი მონაცემები ჰქონდათ იმაზე, რომ **„რუსთავი2"**-ში სერიოზული ფინანსური დარღვევები ხდებოდა. იმ დროს მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით მოვიპოვეთ მასალები – გვყავდა მოწმეები, რომლებსაც მოცემული ჰქონდათ წერილობითი, აუდიო და ვიდეო ჩვენებები ამ დარღვევათა შესახებ.

– როდიდან გახდა ფინანსური საკითხების შემოწმება უშიშროების საქმე?

– ეს დარღვევები საკმაოდ **„ორიგინალური"** იყო (ეღიმება) და ცდებოდა ფინანსური საკითხების ჩარჩოებს. საქმე ის არის, რომ ამ ჩვენებების მიხედვით, გამოიკვეთა სერიოზული დანაშაულებრივი ქმედება, რაც სხვადასხვა პირების მოსყიდვაში გამოიხატებოდა. ეს კეთდებოდა გარკვეული ინფორმაციის მიღების მიზნით. თუ გახსოვთ, ამ ტელევიზიას ჰქონდა გადაცემა **„ვის უნდა 20 ათასი"** (თუ რაღაც ამგვარი **„სატელევიზიო თამაში"**), რომლის მონაწილე კითხვებზე სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში საკმაოდ სერიოზულ თანხას მოიგებდა. ინფორმატორს, რომელიც ფასეულ ინფორმაციას მიიტანდა კომპანიის ხელმძღვანელობაში, წინასწარ აცნობებდნენ სწორ პასუხებს. ისიც მიიღებდა მონაწილეობას ამ შოუში, დასმულ კითხვებს სწორად უპასუხებდა და მოგებაც გარანტირებული ჰქონდა.

– ანუ იღებდა ანაზღაურებას კონფიდენციალური ინფორმაციის მიწოდებისთვის?

– დიახ. თანაც, მიაქციეთ ყურადღება – გარედან ისე ჩანდა, რომ არც კანონი ირღვეოდა, არც – თამაშის წესები.

– სხვაგვარად რომ ვთქვათ, „რუსთავი2"-ში პრინციპულად იგივე პრაქტიკა ჰქონდათ დანერგილი, რაც ძალოვანი სტრუქტურების აგენტების „შრომის" ანაზღაურებისთვის არის გამოყენებული?

– (ეღიმება) დაახლოებით ასეთი.

– როგორი ინფორმაცია მიჰქონდათ?

– ყველა თანამდებობის პირზე ყველანაირი ინფორმაცია. მაკომპრომენტირებელ მასალებს აგროვებდნენ საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან, პანკისის ხეობიდან და ა.შ. ამ ინფორმაციას, ძირითადად, იყენებდნენ თავიანთი პროგრამისათვის **„60 წუთი"**, რომელიც აკაკი გოგიჩაიშვილს მიყავდა. *დავადგინეთ, რომ ასეთი კავშირები მათ ჩეჩნეთის მოქალაქეებთანაც ჰქონდათ დამყარებული, მათგან ითხოვდნენ ცნობებს იმაზე, თუ რა ხდებოდა პანკისის ხეობაში, ჩეჩნეთში. ეს აინტერესებდათ და ამაშიც გარკვეულ თანხას იხდიდნენ. ყოველთვის ეძებდნენ სკანდალურ ფაქტებს და შემთხვევებს, თითქოსდა ჟურნალისტური საქმიანობისთვის.*

– ამუშავებულა უშიშროების სამინისტროს პარალელური სტრუქტურა და ეგაა! თქვენ თუ გაცნობებდნენ იმ დარღვევების შესახებ, რომლებიც მათთვის მიტანილ შეტყობინებებში იყო? რომელიმე სხვა სპეცსამსახურს ხომ არ ამარაგებდნენ?

– ვერაფერს გეტყვით. ამის დამადასტურებელი ფაქტები არ მაქვს. (პაუზა). შემიძლია გითხრათ, რომ არ ერიდებოდნენ მიღებული ფაქტების გაყალბებას. **„რუსთავი2"**-ს ავტორიტეტი დიდი ჰქონდა, პოპულარული იყო და ტყუილსაც უჯერებდნენ. ათი ფაქტიდან რვას მართალს იტყოდნენ და ორს ისეთს გაურევდნენ, რომ ერთი კოვზი კუპრივით მთელ კასრს გააფუჭებდა. ამ ცრუ **„ფაქტების"** შემოწმება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. რამდენჯერმე შევამჩნიეთ, რომ ზოგიერთი ინფორმაცია, რბილად რომ ვთქვა, არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. შემოწმება რომ დავაპირეთ, გვითხრეს, არ გინდათ, აგიმხედრდებიან ჟურნალისტებიო. გარკვეული დროის შემდეგ აღმოჩნდა, რომ **„რუსთავი-2"**-ის, ძალიან მაღალი დონის, როგორც ახლა უყვართ თქმა, **„დამკრიშავი"** მოხელეების ყურადღების არეალში მოექცა. მოინდომეს ჩაფარცხვა.

– და მაინც შეხვედით ტელეკომპანიაში?

– შესვლა ისეთ დროს და ისე დაიგეგმა, რომ უშიშროების სამსახურების პირველი პირების ნაცვლად მეორე და მესამე პირები მივიდნენ შესამოწმებლად. თანაც, წესისამებრ, დილიდან კი არ შევიდნენ ობიექტზე, არამედ თორმეტი საათისათვის, მაშინ, როცა საინფორმაციო პროგრამა პირდაპირ ეთერში უნდა გასულიყო.

– გინდათ, თქვათ, რომ მისვლის დრო განგებ დაამთხვიეს საინფორმაციო პროგრამის ეთერში გასვლას?

– დიახ. ყველაფერი გაკეთდა აუიოტაჟის ოპერატიულად ასატეხად – საქმის ისე წარმოსადგენად, რომ უშიშროება თავს დაესხა თავისუფალ ტელევიზიას, დაარღვია თავისუფალი სიტყვის უფლება, რომ ზღუდავს პრესის თავისუფლებას და ასე შემდეგ.

– რა გინდათ, თქვათ?

– ის, რომ მაშინდელი უშიშროების სამსახურის ხელშეწყობით მოხდა ამ **„ბრალდებების გაპიარება".**

– თუ სწორად გაგიგეთ, „რუსთავი2"-მა უშიშროების ცალკეული თანამშრომლების დახმარებით საზოგადოებრივი აზრი ხელისუფლების წინააღმდეგ აამხედრა?!

– შეფასება თქვენთვის და მკითხველებისთვის მომინდვია. ოღონდ აუცილებლად გაითვალისწინეთ, რა შედეგები მოჰყვა ასეთ ამხედრებას.

– სამთავრობო კრიზისი?

– დიახ, სერიოზული კრიზისი. არასტაბილური ქვეყნისთვის რას ნიშნავს ასეთი კრიზისი, განმარტებას არ საჭიროებს.

– „ჩუმი რევოლუცია"?

– შეიძლება ასეც შეფასდეს. მაგრამ მაინც, – არშემდგარი გადატრიალება.

– თქვენ თქვით, რომ ეს კომპანია აგროვებდა მასალებს თანამდებობის პირებზე...

– დიახ, მათი კომპრომენტაციის მიზნით.

– და არა გამოძალვის მიზნით? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ, მაგალითად, როცა „60 წუთისთვის" მომზადდა გადაცემა საქართველოს რკინიგზის მაშინდელი ხელმძღვანელის აკაკი ჩხაიძის წინააღმდეგ, ქალაქში ალაპარაკდნენ, რომ აკაკი გოგიჩაიშვილმა ჩხაიძეს ასი ათასი დოლარი მოსთხოვა მის შესახებ მასალის ეთერში არგაშვების საფასურად, მაგრამ უარი მიიღო, გადაცემა შედგა.

– ამ კონკრეტულ ფაქტზე ვერაფერს გეტყვით, არ ვიცი. შემიძლია სხვა, დადასტურებული ფაქტის შესახებ გითხრათ, რომელიც **„რუსთავი2"**-ის **„დაკრიშვას"** ეხება. საქართველოს გენპროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილთან გაიმართა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ **„რუსთავი2"**-ის დამფუძნებელი ეროსი კიწმარიშვილი, ეს გოგიჩაიშვილი და ჩვენი წარმომადგენლები. კიწმარიშვილი ჩიოდა, რომ გოგიჩაიშვილს დასდევენ მოსაკლავად, აშინებენ, ურეკავენ, სიკვდილით ემუქრებიან და ასე შემდეგ. ჩანდა, რომ ეს საჩივარი მიმართული იყო საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მოსახდენად – ტელევიზიითა და პრესით უკვე ლაპარაკობდნენ, რომ კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ ჟურნალისტს მისი მამხილებელი გადაცემების გამო ემუქრებოდნენ. ქვეტექსტში აშკარად იკითხებოდა, რომ ამას ხელისუფლების დავალებით აკეთებდნენ. ისიც იგულისხმებოდა, რომ, თუ რამ მამხილებელი ხმები გამოჟონავდა **„რუსთავი2"**-დან, ამ ფაქტს გამამართლებელ **„არგუმენტებად"** დაუყოვნებლივ გამოიყენებდნენ.

– შეამოწმეთ?

– შევამოწმეთ, თუმცა უნდა გითხრათ, რომ ეს არ იყო ჩვენი საქმე. ჩვენს კომპეტენციაში შედიოდა და გვევალებოდა კიდეც, დაუყოვნებლივ გვემოქმედა იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო პირს ტერორისტული აქტით დაემუქრებოდნენ. აქ კი საქმე ეხებოდა კერძო ტელევიზიის ერთერთ თანამშრომელს. გამოძიებით დადგინდა, რომ **„სიკვდილით დამუქრება"** და დევნა ფალსიფიცირებული იყო. აღმოჩნდა, რომ ამ გოგიჩაიშვილს, მისივე თხოვნით, ურეკავდა ახლო ნათესავი და **„ემუქრებოდა".** იმ კაცმა ყველაფერი აღიარა. საჭირო ეფექტის შესაქმნელად კიწმარიშვილი იმ თათბირზე სიმართლისთვის მებრძოლი, აღშფოთებული, ისტერიკაში ჩავარდნილი კაცის როლს თამაშობდა; ცდილობდა, გავლენა მოეხდინა იქ მყოფებზე; თანაც, არა მარტო ამ ისტერიკით. ერთ მომენტში **„მდგომარეობიდან გამოსულმა"** და **„აღელვებულმა"** ამოიღო მობილური ტელეფონი და დარეკა პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ოჯახში: სასწრაფოდ მომიძებნეთ ზურა! ახლავე დამირეკოს და ა.შ. დაგვანახა, თუ როგორი ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქვეყნის მეორე პირთან, მის ოჯახთან. ელაპარაკებოდა ისე მკვახედ და ბრძანების ისეთი ტონით, როგორსაც არასოდეს ვაკადრებდი ჩემს ხელქვეითებს.

– საქმის არსს თუ მივუბრუნდებით, გაგახსენებთ, რომ იმ დროს ლაპარაკი იყო 4 მილიონ ლარზე, რომელიც „რუსთავი2"-ს საგადასახადო სამსახურის ვალად ედო.

– იცით, რა? ეს საქმე ეკონომიკურ სამსახურს მიჰყავდა, ჩვენ კი ერთ ფრაგმენტში ვიყავით ჩართული და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ვმოქმედებდით. მაშინ ჩვენთან დაცული იყო ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის პრინციპი და ამიტომ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ძალიან დიდი რაოდენობის თანხაზე იყო ლაპარაკი, ძირითადად, რეკლამიდან მიღებული შემოსავლიდან გადასახადის გადაუხდელობაზე; სახელმწიფოსგან დამალულ ფულზე იყო ლაპარაკი.

– რის გამოც ალ კაპონე დააპატიმრეს.

– (ეღიმება) ასე იყო.

– ესე იგი, უშიშროება ტელეკომპანიაში შევიდა ამ დავალიანების შესამოწმებლად?

– დიახ, მათ შორის, ამისაც. მაგრამ შეარჩიეს ისეთი მომენტი, როცა ჩვენი პირველი პირიც და სახელმწიფოს პირველი პირიც თბილისიდან იყვნენ გასულები.

აქ ერთი კერძო დეტალიც დავუმატოთ: **„რუსთავი2"**-ის ბუღალტერი იყო უშიშროებიდან წარგზავნილი ჯგუფის ხელმძღვანელის ალალი და. ცხადია, რომ ამ ნათესაური კავშირის არხითაც **„გაჟონა"** ინფორმაციამ.

– გვარს დაასახელებთ?

– არა. ვინც დაინტერესდება, დაადგენს. მთავარი გვარი კი არა, სულ სხვა რამაა.

– როგორ შეაფასეს ამ ჩავარდნილი ოპერაციის შედეგები? მიუთითეს ვინმეს, დასაჯეს, გამოიტანეს დასკვნები?

– ამ კითხვაზე ჩემი პასუხი სუბიექტური იქნება. იმდენად სრულყოფილი მასალები იყო მომზადებული, რომ **„ჩავარდნა"** წარმოუდგენელი იყო.

– მაინც „ჩავარდა". რატომ?

– პირდაპირ გეტყვით: ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენი ჯგუფის წევრების ასეთი მოქმედება უშუალოდ მათი და მხოლოდ მათი გადაწყვეტილება არ იყო. უეჭველია, რომ სრულდებოდა უმაღლესი ინსტანციის მითითებით.

– გაუგებარია! ქვეყნის პირველმა პირმა ისეთი დავალება მისცა უშიშროებას, რომ მთელი ეს უბედურება – მთავრობის გადახალისება, ავტორიტეტის შელახვა თვითონვე დაეტეხა საკუთარ თავზე?!

– მე მგონი, საბოლოო შედეგით უნდა განვსაზღვროთ. არ დარჩენილა მაშინ არც ერთი ჩვენი თანამშრომელი, ვისაც ეჭვი არ შეპარვოდა ამ ოპერაციის განხორციელების სისწორეში – ასე რატომ ვაკეთებთო. მაინც გაკეთდა. შედეგი კი სრულიად საწინააღმდეგო გამოიღო: გაიზარდა ამ ტელევიზიის ავტორიტეტი, პრესტიჟი, ხოლო ის პიროვნებანი, რომლებიც რაღაც მიზეზით ამ ტელეკომპანიის გარშემო შეკრებილი ჯგუფისთვის მიუღებელი იყვნენ, სახელმწიფო მოღვაწეობას ჩამოსცილდნენ.

– კიწმარიშვილი, რომელიც დღევანდელი ხელისუფლების გასამარჯვებლად იბრძოდა, ახლა ამ ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდის. თქვენ, როგორც ძველი პროფესიონალი, როგორ აფასებთ ამ ფერიცვალებას?

– ისტორიული ფაქტით თუ ლეგენდით გიპასუხებთ. როცა ჩინგიზ ყაენს მისმა მოსისხლე მტრებმა თავიანთი ბატონი ჯამუჯა დაბორკილი მიჰგვარეს, ყაენმა იმ მოღალატეებისათვის თავის მოკვეთა ბრძანა: თავიანთ ბატონს უღალატეს და ჩემი ღალატისგან რა შეაკავებთო! ღალატი პირველადაა ძნელი, მერე და მერე ჩვეულებაში გადაიზრდება. ასეთია ჩემი პასუხი.

– პანკისის ხეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებაც აგროვებდაო „რუსთავი-2" ინფორმაციას, ბრძანეთ თქვენ. რატომ?

– პანკისი დახურულ თემად იყო მიჩნეული. ესაო, ისაო – ნარკობარონები, იარაღის ყიდვა-გაყიდვა... პანკისის ხეობაში მაშინ ისეთი არაფერი ხდებოდა, რაც თბილისში, ვთქვათ, დოლიძის ქუჩაზე, გინდაც ატენის ქუჩაზე, გინდაც სხვაგან. მაშინ კარგად ვერ ვმუშაობდით, არ დაგიმალავთ, ნარკოტიკები ჩვენი თუ პოლიციის თვალწინ იყიდებოდა. პანკისშიც ასე იყიდებოდა და თელავშიც.

– იარაღი?

– ჩეჩნეთიდან უკანდახეული მებრძოლები სხვა დევნილებთან ერთად აფარებდნენ იმ ხეობას თავს. მათი გადმოსვლა არ ხდებოდა თელავის მილიციის ან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით: ათიდან რვა კაცის შემოსვლა პანკისში და მათი იქ დარჩენის საკითხი ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების დონეზე წყდებოდა. იქ ყველას, როგორც წესი, ჰქონდა იარაღი.

– იმათ კი ჰქონდათ, მაგრამ იარაღით ვაჭრობა?

– ზუსტად ეს არის პანკისში არსებულ მდგომარეობაზე ტელევიზიის და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შექმნილი არასწორი წარმოდგენის ერთერთი შედეგი.

– ვითომ ისიც მცდარი წარმოდგენის შექმნის მცდელობა იყო, როცა „რუსთავი2" დეტალურად გადმოსცემდა პანკისიდან დაძრული გილაევის რაზმის მარშრუტს? მაშინ ასეთმა „გათვითცნობიერებამ" განსაკუთრებით დაძაბა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. ამის თაობაზე რას იტყვით?

– ამ ფაქტის გარშემო ახლაც დიდი მითქმა-მოთქმაა. იმ დროს გილაევს პრობლემები შეექმნა ჩეჩნეთში, საიდანაც შემოუთვალეს – შენ მანდ ისვენებ, კარგად ხარ მოწყობილი, ჩვენ კი აქ ვიბრძვით და სისხლსა ვღვრითო, ამიტომ ის იძულებული იყო, ჩეჩნეთში დაბრუნებულიყო.

– ისიც უნდა ვთქვათ, რომ რუსეთთან ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვის ფონზე, საქართველოს ხელისუფლება იძულებული შეიქმნა, მიემართა იმავე გილაევისთვის, გადასულიყო ჩეჩნეთში, თქვენს ოჯახებს კი ჩვენ მივხედავთო.

– ჩვენ გვყავდა ინფორმატორები და შევიტყვეთ, რომ გილაევი დაბრუნებისთვის ემზადებოდა. შევხვდით გილაევს.

– სად შეხვდით, პანკისში?

– შევხვდით და გადავეცით, როგორ, რომელი გზებით უნდა წასულიყო, საქართველოსთვის პრობლემები რომ არ შეექმნა. მარშრუტი შევათანხმეთ. შემდეგ რუსეთის უშიშროების სამსახურიდან ჩვენმა კოლეგებმა შეგვატყობინეს – მოსალოდნელია ჩეჩენი მებრძოლების რაზმის თქვენგან რუსეთში გადმოსვლაო: დაგვისახელეს ზუსტად ის მარშრუტი, რომელზეც გილაევთან ვიყავით შეთანხმებული. ამ ინფორმაციის სხვისთვის გადაცემა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც შევუთანხმდით.

– „რუსთავი2"-ს ვინდა შეატყობინა?

– ვერ გეტყვით. მე მხოლოდ იმ ფაქტებზე შემიძლია ვილაპარაკო, რომლებშიც დარწმუნებული ვარ, შესწავლილია და დადასტურებული, მაგრამ არც მათ უარყოფას ავიღებ ჩემს თავზე... ჩეჩნების რაზმი ზუგდიდის მიმართულებით წავიდა.

გაგრძელება მე-12 გვ

ათი ლეგენდარული მატჩი
ტრიუმფი გლაზგოში

“ჰემპდენ-პარკი”, გლაზგო.

ჩემპიონთა თასის ფინალი. **“რეალი”** მადრიდი – **“აინტრახტი”** ფრანკფურტი 7:3 (3:1)

გოლები: დი სტეფანო 27, 30, 73, პუშკაში 36, 48, 58, 63, კრესი 18, შტაინი 72, 80.

127.621 მაყურებელი.

მსაჯი: მოვატი (შოტლანდია).

“რეალი”: დომინგესი, მარკიტოსი, პაჩინი, ვიდალი, სანტამარია, სარაგა, კანარიო, დელ სოლი, დი სტეფანო, პუშკაში, ჰენტო.

“აინტრახტი”: ლოი, ლუტცი, ჰოფერი, ვაილბახერი, აიგენბორდტი, სტინკა, კრესი, ლინდნერი, შტაინი, პფაფი, მაიერი.

მადრიდის **“რეალმა”** ჩაატარა რა ბრწყინვალე ფინალური მატჩი, ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონთა თასი. შვიდ ჩატარებულ შეხვედრაში **“რეალმა”** გაიტანა 31 გოლი, მისი მონაწილეობით ჩატარებულ მატჩებს სულ დაესწრო 524.097 მაყურებელი, რაც იმ დროისათვის სარეკორდო მაჩვენებელი გახლდათ.

ნახევარფინალში **“რეალმა”** ორი მატჩის შედეგით სძლია 3:1, მანამდე კი თვით **“ბარსელონამ”** გაანადგურა ორი მატჩის ჯამში ინგლისის ჩემპიონი **“ვულვერჰემპტონ უონდერერსი”** ანგარიშით 9:2.

მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში გერმანიის **“აინტრახტმა”** დაამარცხა **“გლაზგო რეუნჯერსი”**, რომელსაც ორ მატჩში 6 გოლი გაუტანა. მაგრამ ფინალში **“აინტრახტმა”** წინააღმდეგობა ვერ გაუწია მადრიდის **“რეალს”** და დამარცხდა ანგარიშით 3:7. ამ შეხვედრაში მადრიდელმა დი სტეფანომ ჰეთ-თრიკი შეასრულა, ხოლო უნგრელმა პუშკაშმა 4 გოლი გაიტანა. მატჩის დაწყებისთანავე ნათელი შეიქმნა, რომ **“აინტრახტს”** წარმატების არავითარი შანსი არ გააჩნდა. მატჩი იმდენად საინტერესოდ წარიმართა, რომ მის დამთავრებამდე არც ერთ გულშემატკივარს ტრიბუნები არ დაუტოვებია. ეს ტურნირი დღესაც ერთ-ერთ საუკეთესო მატჩად ითვლება ევროპული ფეხბურთის ისტორიაში. მადრიდის **“რეალის”** მეოთხე მწვრთნელი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გახლდათ მიგელ მუნიოსი, რომელიც ადრე თავად თამაშობდა ამ გუნდში. სწორედ მან მოიწვია გუნდში დელ სოლი და პაჩინა, რომელთაც საგრძნობლად გააძლიერეს ისედაც ძლიერი გუნდი, სადაც მაშინ თამაშობდნენ ურუგვაელი სანტამარია, ჰენტო, არგენტინელი ალფრედო დი სტეფანო და უნგრელი პუშკაში. თუმცა მათ საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში დაამარცხეს ურუგვაის **“პენიაროლი”** ანგარიშით 5:1, მადრიდელებმა ეროვნულ ჩემპიონატში მხოლოდ მეორე ადგილი მოიპოვეს და ვერც ესპანეთის თასს დაეუფლნენ.

“ბენფიკამ” ჩამოიტოვა
“ბარსელონა”
1961 წლის 31 მაისი
“ვაკდორფი” (ბერნი)
ჩემპიონთა თასის ფინალი
“ბენფიკა” – “ბარსელონა” 3:2 (2:1)

გოლები: აგუაში 30, რამალეტსი 31 (ავტოგოლი), კოლუნა 55, კოშიჩი 20, ციბორი 79

33.000 მაყურებელი

მსაჯი დინსტი (შვეიცარია)

“ბენფიკა”: კოშტა პერეირა, მარიო ჟოაო, ანჯელო, ნეტო, ჟერმანო, კრუზი, ჟოზე აუგუსტო, სანტანა, აგუაში, კოლუნა, კავემი.

“ბარსელონა” – რამალიეტსი, ფონჩო, გრასია, ვერგესი, გარაი, ჰანსანა, კუბალა, კოშიჩი, ევარისტო, სუარესი, ციბორი.

ეს იყო პორტუგალიური **“ბენფიკის”** გუნდური სულისკვეთების აღმასვლა, რომელიც ამ მატჩამდე ევროპაში დიდად ცნობილი არ იყო და მისი რენომე მხოლოდ პორტუგალიით შემოიფარგლებოდა. ტურნირის დაწყებამდე ამ გუნდს აუტსაიდერად მიიჩნევდნენ, თუმცა მათ მაინც მოიპოვეს ჩემპიონთა თასი. ეროვნულ ჩემპიონატში უკანასკნელი თექვსმეტი სეზონის განმავლობაში **“ბენფიკამ”** 12-ჯერ მოიპოვა ჩემპიონობა. აქედან გამომდინარე, იგი პერიოდულად იყო შესანიშნავ ფორმაში და გამარჯვებებს აღწევდა.

ფინალურ მატჩში **“ბარსელონას”** რიგებს იცავდნენ უნგრელები კოშიჩი და ციბორი, რომელთაც ფინალში თითო გოლი გაიტანეს, თუმცა **“ბარსამ”** მატჩი მაინც წააგო. ამ მატჩში კიდევ ერთმა უნგრელმა – დისლაო კუბალამ ითამაშა, მაგრამ მარცხის ძირითადი მიზეზი მაინც ესპანელი ფეხბურთელები იყვნენ.

გაუშვა რა **“ბარსელონამ”** აგუაშის მიერ დარტყმული ბურთი, პორტუგალიელებმა ანგარიში გაათანაბრეს. ხოლო, როცა ერთი წუთის შემდეგ, ჰანსანამ უკან მიაწოდა პასი რამალეტსს, ამ უკანასკნელს ბურთი გაექცა და კარის ხაზი გადაკვეთა. ეს გახლდათ დასანანი ავტოგოლი, რამაც საბოლოოდ გაუფუჭა ხასიათი ესპანელებს. მათ კარში მესამე ბურთი კოლუნამ გაიტანა შორიდან დარტყმით, რაც მეკარემ ვერ მოიგერია.

“ბარსა” თითქოს გამოაფხიზლა მარცხის საფრთხემ – ისინი განუწყვეტლივ უტევდნენ მეტოქის კარს და სამჯერაც ჰქონდათ ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა, მაგრამ, სამივეჯერ ბურთი კარის ძელმა მოიგერია. როგორც ჩანს, ფორტუნამ იმ დღეს საბოლოოდ შეაქცია ზურგი ესპანელებს. მაგრამ, არც იმის უთქმელობა არ შეიძლება, რომ პორტუგალიელმა ფეხბურთელებმა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

– კაცო, გავიგე რომ აირწინაღი მოწამვლისაგან გვიცავს, მაგრამ ეს შლანგი რაღა ფეხებად უნდა?

– ატომური აფეთქების დროს თავი შორს რომ არ გადავარდეს.

***

ქალი შვილის ძიძას ათვალიერებს და ეუბნება:

– შენ რა, ფეხმძიმედ ხარ?

– მერე რა, შენც ხომ ხარ ფეხმძიმედ?

– გრცხვენოდეს, მე ჩემი ქმრისგან ვარ, შენ კი?

– მეც შენი ქმრისგან ვარ!

***

– ჩვენი ხალხი ნამეტანი ზარმაცია... მუშაობა სულ არ უნდათ.

– რისთვის უნდა იმუშაონ? ცოტა ფულისთვის მუშაობას აზრი არა აქვს, ბევრი ფულის შოვნას კი მუშაობა საერთოდ არ სჭირდება...

***

ეჰ, ნეტა იმდენი ფული მქონდეს, რომ თვითმფრინავის ყიდვა შემეძლოს!

– რად გინდა თვითმფრინავი?

– თვითმფრინავი სულაც არ მჭირდება, მე მხოლოდ იმდენი ფული მინდა...

***

უცოლო კაცისთვის ყველაზე ძნელი ქალის გახდაა, ცოლიანი მამაკაცისთვის – მისი ჩაცმა.

სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას “ეფრემ ვერდის” წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

– **პორტრეტის ნახვა** – ცუდია და მწუხარების ნიშანია;
– **პირისახე ლამაზი** – ძალიან კარგია და სასიხარულოა;
– **რკინის ნახვა** – ცუდია, მწუხარებას მოასწავებს;
– **რეჰანის კრეფა** – კარგია და სიხარული შეგემატოს;
– **რუმბის ნახვა** – დიდობისა და ფართოდ ყოფნის ნიშანია;
– **რძის ყიდვა, ანუ დალევა** – კარგია და ჯანმრთელობაა;
– **სანთელი აანთო** – შვილი გეყოლოს და მეტად გაიხარო;
– **სახლის ყიდვა** – ერთიანად ცუდი ნიშანია;
– **სიზმარში სიზმარს ამბობდე** – კარგია და სიხარულია;
– **სასწავლებელი** – კარგია და ბედნიერებას მოასწავებს;
– **სარკეს ხმარობდე** – ქორწინების ნიშანია;
– **ღვინის სმა** – კარგია, ჯანმრთელობა არის.

გაზეთი **“საქართველო და მსოფლიო”**
ერთ-ერთი ლიდერი ქართულ მედიასივრცეში!
მისი ძირითადი კრედო – შეიძლება, ზოგჯერ ძალზე მწარე, მაგრამ მაინც სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!
მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების მიუკერძოებელი ანალიზი, საინტერესო პუბლიკაციები, ინტერვიუები, პრობლემათა პროფესიული, ობიექტური ხედვა, პატრიოტული სულისკვეთება და მაღალი ზნეობისადმი სწრაფვა, მყარი მოქალაქეობრივი პოზიცია, პატრიოტიზმი, პრინციპულობა და არა სიჯიუტე, ახალგაზრდა თაობის სულიერი ფორმირების პროცესებში ღრმა წვდომა, შემეცნებითი ინფორმაციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, ფანტასტიკა და რეალობა...
იდიასინკრაზია ყოველგვარი სიყვითლისა და იაფფასიანი სენსაციებისადმი!
ეს გაზეთი მხოლოდ სერიოზულ მკითხველზეა გათვლილი – არასერიოზულები და კულუარული იაფი ჭორ-ინტრიგების მოყვარულები ნუ გამოგვეხმაურებიან!
შეიძინეთ და იკითხეთ გაზეთი
“საქართველო და მსოფლიო”!

– იქით არ უნდა წასულიყო?

– ბევრი რომ არ ვილაპარაკო, მოკლედ გეტყვით, რაც მოხდა: იყო შეთანხმება ჩვენს სახელისუფლებო სტრუქტურებთან, რომ ეს ჩეჩენ მებრძოლთა რაზმი გადავიდოდა აფხაზეთში, გაათავისუფლებდა დასახლებულ პუნქტებს. მათ კვალზე შევიდოდნენ ან პარტიზანები, ან ჩვენი სამხედროები, რომლებიც დაიკავებდნენ ჩეჩნების მიერ გავლილ ტერიტორიას და იქ გამაგრდებოდნენ. ზუსტად ამ დროს სანდო წყაროებმა შეგვატყობინეს, რომ ეს ოპერაცია დაგეგმილი იყო დიდი პროვოკაციის მოსაწყობად, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის რუსეთთან ომში ჩასაბმელად. აი, ამ პროვოკაციაში ჩვენი ჩათრევის ხელშეწყობა უნდოდა გილაევს.

– გილაევს?!

– დიახ, გილაევს. არ ვიცი, შეცდომაში შეიყვანა ჩვენი ხელისუფლება, თუ სხვა რამე იყო მიზეზი, ასე კი მოხდა. ჩვენ ვამბობდით, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც აჰყვნენ პროვოკაციას. მადლობა ღმერთს, იყო ერთი კაცი, რომელმაც დიდი დახმარება გაგვიწია – მან აღკვეთა ეს პროვოკაცია.

– ჩვენთან იყო ეს კაცი?

– დიახ, ჩვენთან. სწორედ მან გასცა განკარგულება, რომ არც ერთი ჩვენი მოქალაქე, არც ერთი ჩვენი სამხედრო არ გადასულიყო გილაევთან ერთად. ეს გახლდათ ნუგზარ საჯაია, საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანი. მან აღკვეთა ეს პროვოკაცია და საქართველო გადაარჩინა რუსეთთან საომარ დაპირისპირებას. გარდაცვლილ კაცზე ცუდის თქმა არ შეიძლება, მაგრამ გილაევმა მაშინ ძალიან ცუდი როლი ითამაშა.

– ის რაზმი ხომ მაინც გადავიდა ჩეჩნეთში?

– ნაწილი დაიღუპა, დანარჩენები გადავიდნენ. რუსებს შეეძლოთ, ყველანი ამოეხოცათ, მაგრამ შეუშვეს. ესეც იმას მოწმობს, რომ პროვოკაციას, მართლაც, ჰქონდა ადგილი.

რ. კანთელაძე

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე	რედაქციის მისამართია: თბილისი, მესამე ნადიკვარის №11 სარეგ.№01018002930	მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი	anaklia@web.de e-mail:elisabetthal@yahoo.de რეკლამის განთავსება 899-57-33-22 72-37-35 38-41-97